ეროვნული ბიბლიოთეკა



645
1970

# საქართველოს ქალი

აგვისტო
№ 8 1970 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო დ. იაკობაშვილისა

მარინე უთმელიძე

წერილი იხ. მე-12 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მშენებელი

11.308

თბილისის ქორწინებისა და სპორტის სასახლეების, აეროპორტის, ტელეცენტრის, სასტუმროების — „საქართველოს“ და „აფხაზეთის“, მრავალი სკოლის, საავადმყოფოს, საცხოვრებელი სახლის მშენებლობანი იმ სამმართველოსთან არის დაკავშირებული, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობს ნინო ბალანჩივაძე. ყოველ მათგანზე დაზოგილია უამრავი საშენი მასალა, სამუშაო დრო, დანერგილია მრავალი ტექნიკური სიახლე.

ნინო ბალანჩივაძე პირველი ქართველი მშენებელი ქალია. 1931 წელს 20 წლის გოგონამ მუშაობა დაიწყო თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სარემონტო კანტორაში, 1932 წლიდან იგი ცალკეულ სამუშაოთა ტრესტში გადაჰყავთ ათისთავად, 1933 წლიდან ომის დაწყებამდე კი ამავე ტრესტის სამუშაოთა მწარმოებელია.

სამამულო ომის დაწყებამ ნინო ბალანჩივაძეს თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მშენებლობაზე მოუსწრო. 1941 წლიდან, ოთხი წლის მანძილზე ქარხნის მშენებლობის უბნის უფროსად მუშაობდა და 1942 წელს სამუშაოთა ვადამდე წარჩინებით და ხარისხიანად დამთავრებისათვის საპატიო ნიშნით დააჯილდოეს.

1944 წლიდან დღემდე ნინო მთავართბილმშენის № 10 საამშენებლო სამმართველოს უფროსად მუშაობს.

მშენებლობის გარდა ნ. ბალანჩივაძე ხელმძღვანელობდა ისეთი რთული ობიექტების რეკონსტრუქციას, როგორიცაა კავშირების სახლი, მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკის ნაგებობანი, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, სახელმწიფო ცირკი. სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ღვაწლმოსილი ქართველი ქალი 1958 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოეს; მედლებს, დიპლომებს, სიგელებს, მადლობებს კი ვიღა ჩამოთვლის!

სამმართველოს უფროსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კადრების აღზრდას, ახარებს თვითოეული მუშის წარმატება, დაწინაურება. შემთხვევითი როდია, რომ 1945 წლიდან დღემდე მეათე საამშენებლო სამმართველოდან მრავალი მზარდი ახალგაზრდა იქნა გადაყვანილი ხელმძღვანელ პოსტზე, ბევრმა რიგითმა მუშამ კი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგ წინწასულ ამხანაგთა თანამდებობები დაიკავა.

ადამიანებზე ზრუნვის მაგალითია ნინოს დამოკიდებულება ჭელიძეების ოჯახთან.

* * *

1939 წელი იყო. კარები ჭალარაშერეულმა კაცმა შეაღო და გაჩერდა. სამუშაოთა მწარმოებელმა ნინო ბალანჩივაძემ წყენით შეხედა მოსულს, არ ესიამოვნა, ნახაზებიდან რომ მოსწყვიტეს. ეს ხომ საკმაოდ რთული შენობის პროექტი იყო, რომელიც სასწრაფოდ უნდა განხორციელებულიყო.

მოსული თუშურ ქუდს ჰმუჭნიდა ხელებში და ბოლოს, როგორც იყო, ამოღერღა:

— ქალბატონო... სოფლიდან ჩამოველ გლეხკაცი, წერილშვილის პატრონი ვარ და, იქნებ...

ნინომ დასვა სკამზე და თხოვა, დალაგებით მითხარი რა გაწუხებსო.

ილარიონ ჭელიძე დურგალი ყოფილა დმანისის რაიონის სოფელ დიდ გომარეთში.

ოჯახში შვიდი სული ჰყოლია სარჩენი და აი, ერთ დღეს გადაუწყვეტია დედაქალაქში ჩამოსვლა.

ხელებში კვლავ თუშურ ქუდს ჰმუჭნიდა, თავი ჩაეღუნა და იატაკისთვის გაეშტერებინა თვალები.

გაეცინა ნინოს.

კაცმა გაოცებული თვალებით ახედა.

— მერედა, სულ ეგ იყო, დალოცვილო! — უთხრა მხიარულად, — ვიფიქრე, რამ დაამწუხრა ეს კაცი-მეთქი. სამუშაოზე ხვალიდანვე გაგაფორმებ. ქალბატონი კი მეორედ აღარ დამიძახო, — მეც ხომ შენსავით კირითხურო ვარ!

თითქოს გაყინული გაათბესო, ისე იმოქმედა ამ წუთიანმა საუბარმა ილარიონზე. მეორე დღეს მუშაობას შეუდგა და ბეჯითი შრომით მალე გაითქვა სახელი.

ერთ დღეს გაკვირვებული დარჩა სამუშაოთა მწარმოებელი — ილარიონს თავისი ცამეტი წლის ბიჭი მოეყვანა და დაჟინებით მოითხოვდა: შეგირდად გამიფორმეთო. ერთხანს ვერ გადაეწყვიტა ნინოს, მიელო თუ არა სკოლიდან გამოყვანილი ბიჭი სამუშაოდ. ბოლოს იფიქრა: მამა მაინც არ მოიშლის, რა უჭირს, მიეხმაროს ოჯახს, სწავლას თუ კი მოინდომებს, მერეც განაგრძობსო, და გააფორმა ბიჭი (აკი მერე ნინოს დახმარებით ბიჭმა მართლაც დაამთავრა მუშა-ახალგაზრდობის სალამო სკოლა და უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლადაც დაიწყო მზადება).

1941 წელში მამა რომ ფრონტზე წავიდა, 14 წლის ვალიკომ მამის იარაღები დაპირა, აბგაში ჩაალაგა და მშენებლობის გზას მარტო გაუყვა.

იმ დღიდან დამხმარე მუშა დურგლის მოწაფედ გადაიყვანეს.

* * *

1943 წელი.

ილარიონის ოჯახმა „შავი ქაღალდი" მიიღო.

ველარ გაუძლო ვალიკომ დედის მოთქმას, ობლების სლუკუნს და ერთ დღეს სახლიდან გადაიკარგა.

ბევრი ეძება ბიჭის კვალი ნინომ, რომელსაც დედამ უმალ აცნობა თავისი გასაჭირი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ: დიდმა ქალაქმა ჩაყლაპა თითქოს ვალერიანი.

ასე გავიდა სამი თუ ოთხი დღე.

— ტრამვაით მოვდიოდი რკინიგზის სადგურიდან, — იგონებს ნინო, — ჩემი ყურადღება 13-14 წლის ბიჭებმა მიიპყრეს. ამოხტებოდნენ ტრამვაის საფეხურზე და კვლავ ძირს ჩახტებოდნენ. შეშფოთებული წამოვდექ სკამიდან და უცებ გავშეშდი — კიბეს ვალიკო ჩასჭიდებოდა. შეუმჩნევლად წავატანე მხარზე ხელი და ვაიძულე შინ წამომყოლოდა. ვასადილე და გავესაუბრე. გავახსენე, როგორ იმედებს ამყარებდა მამა მასზე, ის კი პირველსავე სიძნელეს გაექცა... მამამ თავი შესწირა ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას, ის კი სამუშაოს გაურბის; დეზერტირები მტერს ეხმარებიან... მას ხომ არ სურს გახდეს დეზერტირი? რასაკვირველია, არა!

ვალერიანი დურგალთა ბრიგადირს ივანე პოზნიაკოვს ჩავაბარე და მალეც დაიმსახურა ხელოსნების ქება. ერთ დღეს ჩემთან შემოვიდა.

— დეიდა ნინო, ქარხანაში გამიშვით ცოტა ხანს, — მთხოვა მან, — ვნახავ, როგორ აწყობენ კარ-ფანჯრებს, კარადებს, მაგიდებს... ვნახავ, შევისწავლი და კვლავ ბრიგადაში დავბრუნდები, უკეთ მეცოდინება ჩემი საქმე. ერთ საიდუმლოსაც გაგანდობთ: მინდა ჩემი ხელით კარადა გავაკეთო სახლისათვის.

დავეთანხმდი. ქარხნის დირექტორს შევეთანხმდი, რომ ხელფასს მე მივცემდი ყმაწვილს, მათ კი ხელობა უნდა შეესწავლებინათ. როგორ გამიკვირდა, როცა ერთი კვირის შემდეგ თავის ხელით ნაკეთი საუცხოო კარადა მაჩვენა. მერე ბრიგადაში დაბრუნდა და რაღა არ გამოდიოდა მისი ხელიდან. ამიტომ იყო, რომ იმავე წელს დურგლად გადავიყვანეთ. 1949 წელს კი ბრიგადას ჩავუყენეთ სათავეში. თუკი სადმე რთული საქმე არის გასაკეთებელი, მას ვაგზავნით. ამასთან არასდროს უმტყუნია ვაჟკაცს! თუმცა იგი ყოველთვის ისეთივე ბავშვად დარჩება ჩემთვის, როგორც ომის წლებიდან მახსოვს; ის ხომ ჩემს ხელში წამოიჩიტა...

რა დიდი იყო ნინო ბალანჩივაძის სიხარული, როცა მე-10 საამშენებლო სამმართველოს დურგალს ვალერიან ილარიონის ძე ჭელიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

* * *

იშვიათად ხდება, რომ ღამის ბინდისთვის მიუსწროს სახლში მისვლა მშენებელ ქალს. დედის სეხნია, ერთადერთი ქალიშვილი ნინო კართან უცდის; იცის დედამ, ზარის დარეკვა არ დასჭირდება, ფეხის ხმაზე სცნობს შვილი და კარიც ილება საყვედურებით:

— არ შეიძლება, რომ ერთხელ მაინც ადრე მოხვიდე? ბარემ გადასახლდი იმ შენს სამმართველოში ან დაუმთავრებელ სახლებში...

იღიმება დიდი ნინო და შუბლზე კოცნის შვილს. მიჩვეულია მის საყვედურებს. უმცროსი ნინო ვახშამს ამზადებს, თან ინსტიტუტის ამბებს უყვება დედას. გასულ წელს ქალიშვილმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე და პირველი შთაბეჭდილებები ჯერაც არ გამქრალა — ყოველ ახალ დღეს თავისებური სიახლე მოაქვს მისთვის.

შეუპასუხებლად უსმენს ჭაღარა ქალი შვილს, ფიქრებით კი კვლავ თავის ობიექტებს დასტრიალებს.

**ჯ. მჭედლიშვილი**

# პროფესორი



ძერჟინსკის სახელობის კლუბში ახალგაზრდობა შეკრებილიყო. ფეხს იდგამდა დრამატული თვითმოქმედი კოლექტივი. 94-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ეთერ გუგუშვილი ქრისტინეს როლს ასრულებდა ჟან ლეტრაზის კომედიაში — „პაწაწინა". რეჟისორ დოდო ალექსიძეს შეუმჩნეველი არ დარჩა გოგონას უტყუარი ნიჭი, რომელიც ახლახან აინთო და გაღვივებას იწყებდა. ეს იყო თეატრალურ ხელოვნებაში ეთერის მიერ გადადგმული პირველი მოკრძალებული ნაბიჯი, ნაბიჯი, რომელიც მას, მეოცნებე გოგონას, ხელოვნების დიდი გზისაკენ ეზიდებოდა.

...მოსკოვი. ლუნაჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში იმ დილით უჩვეულო გამოცოცხლება იყო. დერეფნები ახალგაზრდებით აივსო. ისინი ინსტიტუტში მისაღები გამოცდის მოლოდინში იყვნენ. აქ იყო ეთერი გუგუშვილიც. იგი წარსდგა საგამოცდო კომისიის წინაშე და პროფესორ-პედაგოგების ერთსულოვანი აღტაცება გამოიწვია. ეთერი ინსტიტუტში მიიღეს.

იფურცლებოდა სწავლისა და სიხარულის წლები. თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი ხარბად ეწაფებოდა ხელოვნებას, სწავლობდა წარჩინებით. მალე იგი არა მარტო ფაკულტეტის, არამედ მთელი ინსტიტუტის სანაქებო სტუდენტი გახდა. ინსტიტუტის რექტორმა მას სტალინის სახელობის სტიპენდიანტობა მიულოცა. ეთერის აღმზრდელები იყვნენ ცნობილი პედაგოგები: პ. მარკოვი, ს. მაკულსკი, ა. ჯიველეგოვი, ა. ასეევი, გ. ბოიაჯიევი. შემდეგ ინსტიტუტში დატოვეს. იქ მუშაობდა მეთოდისტად, კონსულტანტად. დაასრულა ასპირანტურაც და მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა თემაზე — „ბოლშევიკური პრესა და თეატრი". ეს შრომა ლენინგრადის გამომცემლობამ ცალკე წიგნად გამოსცა (ი. იუფიტთან თანაავტორობით).

ეთერის გული მშობლიურ საქართველოსაკენ მოიწევს. იგი თბილისში ჩამოდის და კულტურის სამინისტროს ხელოვნების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ და თეატრალური განყოფილების გამგედ იწყებს მუშაობას, ხოლო 1955 წლიდან შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორად გადაჰყავთ სასწავლო-სამეცნიერო დარგში.

ეთერი მუდმივ ძიებაშია. არ კმაყოფილდება მიღწეულით. მკითხველი კარგად იცნობს ნიჭიერი თეატრმცოდნის ლიტერატურულ პროდუქციას, მართალი, პრინციპული, ზუსტი ხელწერით რომ არის შესრულებული. 1958 წელს, მოსკოვში, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში მან დიმიტრი ჯანელიძესთან თანაავტორობით გამოსცა წიგნი — „კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი", შემდეგ მოჰყვა სერია წიგნებისა — „ქართული საბჭოთა თეატრი", „კოტე მარჯანიშვილი". „ჩემს ძვირფას მასწავლებელს, გამოჩენილ საბჭოთა თეატრმცოდნეს პროფესორ პ. ა. მარკოვს ვუძღვნი ამ წიგნს", — ასე წაუმძღვარა მან „თეატრალურ პორტრეტებს", რომელიც 1965 წელს გამოვიდა.

დოცენტმა ქალმა თავის ნაშრომებში ახალი შუქი მოჰფინა ქართული თეატრის ისტორიას, კალმით გააცოცხლა დიდ რეჟისორთა თუ მსახიობთა პორტრეტები, წარმოსახა მათი მღელვარე სული, მათი პოეტური ფიქრები და შემოქმედებითი მყარი ნაბიჯები; ესენი არიან: კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, აკაკი ვასაძე, ვახტანგ ჭაბუკიანი, ვასო გოძიაშვილი, შალვა ღამბაშიძე, სერგო ზაქარიაძე, სესილია თაყაიშვილი, პიერ კობახიძე.

მისი შემოქმედებითი წიგნის თავფურცელი კოტე მარჯანიშვილია — დიდი რეჟისორის შემოქმედებითი აღლოთი და შემართებით, სწორუპოვარი დიდოსტატობით, და შემთხვევითი არ იყო, როცა კიევის თეატრალურმა საზოგადოებამ გადაწყვიტა საბჭოთა კავშირში „ფუენტე ოვეხუნას" პირველი დადგმის 50 წლისთავი ახალი გამოცემით აღენიშნა; კოტე მარჯანიშვილის შესახებ თავისი სიტყვა ამ წიგნში პირველ რიგში კიევის თეატრალური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საპატიო წევრს ეთერ გუგუშვილს ათქმევინეს. მისი სადოქტორო დისერტაციის თემა, რომელზეც ამჟამად მუშაობს იგი, არის „რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი".

ეთერი სისტემატურად თანამშრომლობს ჟურნალ-გაზეთებში. მოკლე ხანში გამოვა მისი კრებული, რომელშიც მოთავსებულია წერილები თეატრის შესახებ, გამოკვლევები, რეცენზიები. იგი დიდი ენერგიით ემსახურება ახალგაზრდა თეატრალური კადრების აღზრდის საქმეს — უკითხავს რუსული და საბჭოთა თეატრის ისტორიას, ატარებს კრიტიკის სპეცსემინარს. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა და ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისათვის მზადდება თეატრმცოდნეების ჯგუფი. აქ არიან ყარაჩაელები, ჩერქეზები, კუმიკები, დაღესტნელები.

ჩრდილოეთკავკასიელებს სურთ თავიანთი ეროვნული კადრები ჰყავდეთ და თბილისის თეატრალურ ინსტიტუტს მოაშურეს.

ეთერ გუგუშვილი თავის ნაწერებში პრინციპულ, მაღალპროფესიულ შეფასებას აძლევს არა მხოლოდ დრამატული თეატრების სპექტაკლებს, მათ აქტიორებს, იგი აგრეთვე უბადლო შემფასებელია საბალეტო სპექტაკლებისაც. ამის უტყუარი დადასტურებაა ისიც, რომ ნ. როსლავლევამ თავის წიგნში „მაია პლისეცკაია" — ეთერ გუგუშვილის ერთ-ერთი საუკეთესო რეცენზიის ავტორი ... ასახელებს. თვით მაია პლისეცკაია კი კი... რის მისამართით გამოგზავნილ წერილში დიდ მადლიერებას გამოთქვამს მისი, როგორც ბალეტის მსახიობის, ესოდენ აკადემიური შეფასებისათვის.

ეთერი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. იგი მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. წლების მანძილზე ხელმძღვანელობს ოქტომბრის რაიონის კულტურის სახალხო უნივერსიტეტს, არის საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის, საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს წევრი ხელოვნების დარგში და თეატრალური ენციკლოპედიის





ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო კონსულტანტი საქართველოდან. შარშან მონაწილეობდა საქართველოს კულტურის დღეებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მან ქალაქ მეინინგენში ქართული თეატრის შესახებ გერმანულ ენაზე წაიკითხა მოხსენება.

შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტს არსებობის 30 წელი შეუსრულდა. იგი 1939 წელს გაიხსნა და ლოგიკური გაგრძელებაა ქართული თეატრალური ტრადიციებისა, მანამდე არსებული ლ. მესხიშვილის, გ. ჯაბადარისა და სხვათა სტუდიებისა. ინსტიტუტს შემოკრებილი ჰყავს თეატრალურ მოღვაწეთა დიდი კოლექტივი. ინსტიტუტის მიერ გამოშვებულ კადრებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქართული თეატრალური კულტურის განვითარების საქმეში. და ამ საქმიანობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ინსტიტუტის პრორექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ეთერ გუგუშვილს.

* * *

გოგონა ფანჯრის რაფასთან დგას და „დედა ენას" ფურცლავს. წუთით ჩერდება. ხურავს წიგნს და შთამაგონებლად კითხულობს ლექსს; თან დედისკენ აპარებს მზერას.

— ჩემო ირინე, — ეალერსება ეთერი, — შენ მსახიობობა გწადია ალბათ.

— არა, მე მინდა ბიოლოგი ვიყო, — დაბეჯითებით პასუხობს გოგონა, — აი ისეთი, როგორიც ჩემი ძმა გოგია. ირინეს მოსწონს ასპირანტ გიორგი ჟღენტის არჩევანი და კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი გულიანად იცინის დედა-შვილის გულწრფელი საუბრის გამო.

* * *

პრორექტორის სამუშაო მაგიდასთან მდუმარედ ზის ეთერი. წუთით მოგონებებში იძირება. მისი მამა ნიკოლოზ გუგუშვილი საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი მოღვაწე, ბორის ძნელაძის თანამებრძოლი იყო. 30-იან წლებში. იგი პარტიის თბილისის კომიტეტში, ხოლო შემდეგ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა. მაშინ ცენტრალური კომიტეტის შენობა რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობდა და ნიკოლოზ გუგუშვილის სამუშაო ოთახი იყო აი აქ, სადაც ახლა მისი ქალიშვილი ეთერი იმყოფება. ამიტომაა, რომ ეს უტყვი კედლები მასში ერთდროულად ტკივილსაც და სიხარულსაც იწვევენ.

კარი დოდო ალექსიძემ შემოაღო. ეთერი მოკრძალებით მიესალმა თავის პირველ მასწავლებელს. მან დიდი სიხარული განიცადა დოდოს კიევიდან ჩამოსვლის გამო. ინსტიტუტში მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის კათედრა ალექსიძეს ჩააბარეს.

— დიახ, მე მართალი ვიყავი, — მიმართავს იგი ეთერს, — როცა თეატრალური ხელოვნების დიდ გზას იმთავითვე გიწინასწარმეტყველებდი.

ეთერ გუგუშვილს წინ მართლაც ჯერ კიდევ დიდი და საინტერესო გზა აქვს სავალი!

ეთერ ჯაფარიძე





ელექტრომონტიორი ა. ეგიაზაროვა

ფოტო დ. იაკობაშვილისა

# შუშის ქარხანა





საკომპრესორო განყოფილების მუშაკები
მარიამ ივანიშვილი და ქეთევან ბეჟიაშვილი

1912 წელს ავჭალაში კერძო მეწარმის შუშის ქარხანა ამუშავდა. ათი წლის შემდეგ ქარხანას, რომელიც უკვე სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა, დიდი ლენინის სახელი ეწოდა. სოციალისტური საქართველოს ამ პატარა საწარმოს წარსულისაგან მემკვიდრეობად თითქმის არაფერი მიუღია.

მექანიზაციის სრული უქონლობა, მძიმე ფიზიკური შრომა, ცუდი სამუშაო და საცხოვრებელი პირობები — ასეთი იყო მაშინდელი ქარხნის მუშის ხვედრი...

თუ რევოლუციის გარიჟრაჟზე ავჭალის მეშუშეები დაახლოებით ასი ათას სხვადასხვა ზომის ბოთლს უშვებდნენ, დღეისათვის წლიურად ამ ქარხნიდან რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ 66 მილიონნახევარი ბოთლი იგზავნება. სრულიად შეიცვალა მუშათა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის შენდება ახალი საცხოვრებელი ბინები, ისინი სარგებლობენ სხვადასხვა კეთილმომსახურებით, მათი შვილებისათვის გახსნილია ბაგა-ბაღი.

1952 წლიდან ქარხანა სისტემატურად გამარჯვებული გამოდიოდა სოციალისტურ შეჯიბრებაში. 1965 წელს კი მიღწეული წარმატებებისათვის მას კომუნისტური შრომის საწარმოს სახელი მიენიჭა.

ქარხანაში ფართოდ დაინერგა მექანიზაცია, გაიზარდნენ და დაწინაურდნენ სპეციალისტთა და მუშათა შესანიშნავი კადრები. რთული პროფესიის დაუფლებაში მამაკაცებს გაუტოლდნენ ქალები. მემანქანის პროფესია შესანიშნავად აითვისეს თამარ ნამურიძემ და ნინო ბესტაევამ. მოწინავეთა რიგებში დგანან ტექნიკური კონტროლის უფროსი ნაზიკო ტყაბლაძე, საკომპრესორო განყოფილების მუშები მარიამ ივანიშვილი და ქეთევან ბეჟიაშვილი, ლაბორანტი დიანა კეცბა, მორიგე ელექტრომონტიორი ამალია ეგიაზაროვა.

ავჭალის შუშის ქარხანა ღირსეულად ატარებს დიდი ბელადის სახელს.

ბოთლების ჩამომსხმელ საამქროში





ბოთლების გადატვირთვა



ჩაის პლანტაციაში. მარცხნიდან მესამე ლუსია გამსახურდია.

# მწვანე ხალიჩასთან

საითაც არ უნდა გაიხედოს კაცმა, ყველგან მწვანე ფერებს, ორსართულიან ოდა-სახლებს, ლამაზად შემოკავებულ საკარმიდამო ნაკვეთებს და შრომაში გართულ ადამიანებს დაინახავს.

მაღალი, მკერდამდე ალმართული ბუჩქები, რომლებსაც ერთმანეთისაგან მიჯნავს მწკრივთაშორისები, მნახველს ჯერ ტყუპისცალებად მოეჩვენება, შემდეგ კი დაიკარგება გამმიჯნავი არე და გადაიშლება მწვანე ხალიჩა.

თეთრი ჭილის ქუდები სოკოებივით ირხევიან ამ ხალიჩაზე. ლორთქო დუყებით თვალშეუვლები სიჩქარით ცვივა კალათებში.

— ერთი ტონა, ორი ტონა, — ითვლიან გოგონები.

— ხუთი ტონა, ათი ტონა, — კვლავ ითვლიან გოგონები.

ჩაის პლანტაციებში კაცებიც გამოჩნდებიან — ხან ბრიგადირი, ხან თავმჯდომარე, ხან კიდევ კორესპონდენტები და გოგონები წუთით შეჩერდებიან.

კოლმეურნეობაში ძირითადი კულტურა ჩაია, ამიტომ ყველა ბრიგადა ჩაის კრეფითაა დასაქმებული. ეს რვა გოგონაც, რომლებსაც ერთმანეთისათვის მეგობრობა შეუფიცავთ, დილიდან ღამემდე ჩაის ბუჩქებთან დგას.

1967 წელს გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის კოლმეურნეობა „შრომაში" ჩამოყალიბდა ახალგაზრდულ-კომკავშირული რგოლი, გაიპიროვნეს 8,5 ჰექტარი ჩაის ფართობი და რგოლის ხელმძღვანელად აირჩიეს კომკავშირელი ლუსია გამსახურდია.

პირველი წელი — 36 ტონა!
მეორე წელი — 37 ტონა!
მესამე წელი — 42,8 ტონა!
გეგმა?

რგოლის გეგმა 17,5 ტონა იყო, ვალდებულება — 28 ტონა.

რგოლის წევრების თავდადებულმა შრომამ განაპირობა დავალების წარმატებით შესრულება. აი, ეს წევრები: ფრიდა ელიავა, მზევინარი და ნინარა აკობიები, იამზე და ფერიდე ბახიები, ციალა და კატია ცაგურიები.

რგოლის მიღწევები დიდად არის დამოკიდებული კარგ ხელმძღვანელზე. ლუსია გამსახურდიამ, ჩაის პლანტაციებში რომ გავიდა სამუშაოდ თავიდანვე კარგ შედეგებს მიაღწია. ამიტომაც აირჩიეს სასოფლო საბჭოს დეპუტატად; 1966 წელს კი უდიდესი ნდობა გამოუცხადეს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს; 1967 წელს ჩაირიცხა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე; 1967 წლის 7 ოქტომბერს დააჯილდოეს აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქების სიგელით მეაბრეშუმეობის დარგში გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის; 1968 წლიდან სკკპ წევრია. 1969 წელს კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის დელეგატი იყო; 1970 წელს მონაწილეობდა საქართველოს კომკავშირის 28-ე ყრილობის მუშაობაში, აირჩიეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

დიდ ნდობას გამართლება უნდა.

თუ გასულ სამეურნეო წელს ლუსიამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 10,8 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მიმდინარე წელს მიზნად დაისახა მოკრიფოს 11 ტონა ფოთოლი. მისი რგოლი კი 48 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს გვპირდება.

ი. ოცარველი

## ჩვენ გვწერენ:

# სოფლის მეთაური

აბაშის რაიონში მოზრდილი სოფელია მარანი, აქ 800-ზე მეტი კომლი ცხოვრობს. გულმხურვალედ შრომობენ მარანელები, რათა სოფელს მეტი შნო და იერი ჰქონდეს, იყოს მეტი დოვლათი და ბარაქა. 15 წელზე მეტია მარანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა ნატალია დუნდუა — გამრჯე და ყოჩაღი, შრომადაუზარელი და ენერგიული ქალი.

ნატაშა არჩევისთანავე დეპუტატების საქმიანობას გაეცნო, აქტივისტები შემოიკრიბა, სოფლის ინტელიგენციას ესაუბრა და უახლოესი შესასრულებლი ამოცანების გეგმა დასახა. შემდეგ აღმასკომის სხდომა ჩაატარა, დავალებები გაანაწილა და ყველანი გააფრთხილა: აღმასკომის გადაწყვეტილებებს პატივი უნდა ვცეთ, ეს პატივისცემა კი იმას ნიშნავს, რომ ისინი უყოყმანოდ უნდა შესრულდესო.

მომთხოვნელობის გაძლიერებამ, საქმისადმი პრინციპულმა დამოკიდებულებამ აამაღლა სასოფლო საბჭოს ავტორიტეტი, ხალხის ნდობა და პატივისცემა მოუპოვა მის თავმჯდომარეს.

...ჩვეულებრივად ძალზე ადრე იწყება თავმჯდომარის სამუშაო დღე, რადგან მას ბევრი საზრუნავი აქვს. საბჭოს ტერიტორიაზე ორი კოლმეურნეობაა, რომლებშიც 600-ზე მეტი კომლია გაერთიანებული. არ შეიძლება კოლმეურნეობებში ყოველდღე არ მივიდეს ნატალია, არ ესაუბროს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, ბრიგადირებს, მეცხოველეობის მუშაკებს. თუ რაიმე ნაკლი შეამჩნია მათ მუშაობაში, საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას და აქტივისტებს ავალებს საქმის დეტალურად შესწავლას. შესწავლილ საკითხს საბჭოს აღმასკომის სხდომაზე, სესიაზე იხილავენ და გამოაქვთ საჭირო გადაწყვეტილება.

სახალხო განათლების საქმე და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. სოფლის საშუალო სკოლაში 350 მოსწავლე სწავლობს. სკოლას არ ჰქონდა კაპიტალური შენობა. 1968 წელს ახალი შენობის აგება დაიწყეს. ნატაშა დუნდუას ხშირად ნახავდით სკოლის მშენებლობაზე, სკოლის დირექტორ მ. თელიასთან ერთად იგი ესაუბრებოდა მშენებლებს და შემდეგ საჭირო დახმარებას უწევდა მათ. ახლა სოფლის ბავშვები ახალ სასკოლო შენობაში მეცადინეობენ.

სოფელში არის საავადმყოფო, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, რომლებსაც საჭირო ყურადღებას აქცევს საბჭოს თავმჯდომარე. სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების მოხდა, ხორცისა და კვერცხის დამზადების გეგმის შესრულება, სახელმწიფო გადასახადების დროული აკრეფა ხომ პირველი რიგის ამოცანაა, და ამ საქმეში მარანის სასოფლო საბჭოს აღმასკომი მოწინავეა.

ყველა ოჯახს თავისი ცხოვრება აქვს, ბევრი ოჯახი სასოფლო საბჭოს აღმასკომისგან, მისი თავმჯდომარისგან ელის რჩევას და დახმარებას. უყვარს ნატაშას ხალხის გულდასმით მოსმენა, ადამიანებისათვის დახმარების აღმოჩენა, უყვარს და ამიტომ აფასებენ სოფელში.

პ. ჩაგანავა

კონსტანტინე
პაუსტოვსკი

# სამღა ქალისა



მხატვარი დ. ერისთავი

მოთხრობა

მოსკოველ მხატვარს ლავროვს მდინარე ვოლგის რამდენიმე პეიზაჟის დახატვა სთხოვეს. ლავროვი ხალისით დაეთანხმა. მაგრამ ცოტა ნელი კაცი იყო, მთელი ზაფხული სულ აპირებდა წასვლას და მხოლოდ სექტემბრის დამდეგს მოახერხა გასვლა ვოლგაზე.

ფართომილიან გემზე მინები ისე დაიკრიალებინათ, რომ სულ ციმციმ-ლაპლაპი გაუდიოდა. ყრუდ გუგუნებდნენ მოტორები. გემი რწევით მიანანავებდა თავის ჩირაღდნებსა და გამოპრანჭული მგზავრებით სავსე ბანს მოსკოვის გარეუბნების ჭალებისა და ტბორების გასწვრივ, სადაც უგულოდ ჩადიოდა მზე. ნაპირებზე ტყეები უკვე ყვითლდებოდა, ოქროსფერი ედებოდა. არხის სასიგნალო ფარნები ძლივს ბჟუტავდნენ შემოდგომის ბურუსში.

მიუხედავად ხანდაზმულობისა ლავროვი მორიდებული კაცი იყო და ძნელად თუ დაუახლოვდებოდა ვინმეს. ხალხს ის პირველ რიგში იმის მიხედვით აფასებდა, რამდენად დამახასიათებელი და მიმზიდველი ნაკვთები ჰქონდათ.

გემზე ყველაზე მეტად ორ ადამიანს მიაქცია ყურადღება — მზეზე გარუჯულ შტურმან გოგონას საშას და ერთ მგზავრს, გაპარსულ მოხუცს, ქუთუთოებწამოსიებულ ცნობილ ისტორიკოსს.

რიბინსკის ზღვა განთიადისას გაიარეს. ლავროვი გემბანზე გამოვიდა. ირგვლივ არავინ იყო. ნამისგან სინესტე იგრძნობოდა. დასავლეთის მხრიდან ავდრის მომასწავებელი მღვრიე განთიადის შესახვედრად დაბალი ტალღები მოგორავდნენ ხმაურით.

გემბანზე ისტორიკოსიც გამოსულიყო. მას პალტოს საყელო აეწია, ბებრული შავი ქუდი ხელით ეჭირა და მოაჯირთან იდგა.

ბოგურიდან ციცაბო ტრაპზე საშა დაეშვა. მუქი შინელი ეცვა, ტყავის ხელთათმანები ეკეთა და ბერეტი ეხურა. წაბლისფერი ნაწნავები ბერეტის ქვეშ შეემალა, ის იყო ღამის ცვლა გადაებარებინა. სიცივისაგან სახე ასწითლებოდა, ტუჩები ქარს დაეხეთქა.

— დილა მშვიდობისა! — სალმიანად გაუღიმა მან ლავროვს. — ტკბებით ზღვის სილამაზით?

— აბა, აბა! — უპასუხა ლავროვმა. — თითქმის ვერ დამიჯერებია, რომ ყველაფერი ეს ადამიანის ხელმა შექმნა.

— მე თვითონ აქაური ვარ, მოლოგელი — უთხრა საშამ. — აქ, ამ ზღვის ფსკერზე, — მან ალიონის ვარდისფრად ალივლივებულ ტალღებს მიაშვირა ხელი, — ბავშვობაში სოკოები მიკრეფია. ეს ზღვა ჩემზე ახალგაზრდაა.

— მოვლენათა მსვლელობა ისეთი სწრაფი გახდა, რომ ისტორია ვეღარ ეწევა, — თქვა ისტორიკოსმა და ქუდი ყურებზე ჩამოიფხატა. — მოვლენები მიჰქრიან და უსწრებენ ჩვენს ჩაკვირვებულ ისტორიულ აზროვნებას. ისტორიკოსების მთელი არმიაა საჭირო, რომ მეცნიერულ გამოკვლევებში აისახოს ჟამის ეს სრბოლა.

კინეშმის მახლობლად გემმა ტივების მთელ ქარავანს გაუსწრო.

მძაფრი ქარი მიაქროლებდა ნაგლეჯ-ნაგლეჯ თხელ ღრუბლებს. მათი ჩრდილი მდინარესა და ტყიან დაქანებულ ნაპირებს გადადიოდა. ჩრდილსა და ჩრდილს შორის მზე გამოაჭყეტდა და ირგვლივ ყველაფერი ნაირფერად აციაგდებოდა. ხან მდინარის თოლიების გუნდი გამოიჭრებოდა ჩრდილიდან, თეთრად გაიელვებდა და ისევ ჩრდილისკენ გაექანებოდა, ხან წითელი დროშა გამოჩნდებოდა ნაპირზე, შორს მდგარ ქოხზე, ალბათ სოფლის საბჭოზე, ხანაც ფიჭვნარი აკანკალდებოდა უცებ და ისე აპრიალდებოდა, ალაპლაპდებოდა, თითქოს ირიბი, ჟუჟუნა წვიმით მორწყულაო, ანდა იმავე ტყეს მწვანე დაბინდული საბურველი გადაეფარებოდა და გემზე მყოფთ მისი გაბმული დიდებული შრიალი ესმოდათ.

გემისაგან წასული ტალღები ტივებს ევლებოდა. ფოლადის გვარლებით შეკრულ მსხვილ ფიჭვის მორებზე ქალიშვილები იდგნენ ბარჯებით ხელში და რაღაცას გაჰყვიროდნენ, მაგრამ მათი ხმა ქარს მეორე ნაპირისკენ მიჰქონდა და კაცი ვერ გაარჩევდა ვერაფერს. ქალიშვილებს მხოლოდ თეთრად ჩაკიწკიწებული კბილები მოუჩანდათ მზით გარუჯულ მომცინარ სახეებზე, სხვადასხვაფერის თავსაფრები და ქარისგან აფრიალებული ჩითის კაბების კალთები, შავტუხა კანჭებს რომ უჩენდათ.

საშა ბოგურაზე იდგა. მან სპილენძის რუპორი პირთან მიიტანა და ჩაჰყვირა:

— როგორა მყავხართ, გოგოებო?

— კარგად, საშა! — ერთად შემოსძახეს პასუხად და თავსაფრები ააფრიალეს.

— შორს მიცურავთ?

— სტალინგრადში! მშვიდობით! არ დაგვივიწყო ვოლგელი გოგოები!

ლავროვმა იგრძნო, რომ საშა ამ ქალიშვილების ძალიან ახლობელი იყო, რომ ამ შტურმანს ყველა იცნობდა და ყველას უყვარდა ვოლგაზე. სხვანაირად არც შეიძლებოდა. შტურმანი ქალიშვილები არც ისე ხშირად შეგხვდებათ ვოლგაზე.

საღამოს ლავროვმა საშასთან გულისტკივილით დაიჩივლა, როგორი შესანიშნავი სიუჟეტი იყო სურათისთვის — მეტივე ქალიშვილები ქარიან, ნაირფერ დღეს, — მაგრამ ისე სწრაფად ჩაგვიარეს, ჩანახატის გაკეთებაც ვერ მოვასწარიო.

— ერთი წუთით მაინც შეგეჩერებინათ გემი, — ხუმრობით უთხრა საშას ლავროვმა.

— ეგ მე თვითონაც მესმის, — მიუგო საშამ. — მაგრამ მაგის გაკეთება არაფრით არ შეიძლება, ვლადიმირ პეტროვიჩ.

— ერთი თქვენ! — ამოიოხრა ლავროვმა, — მანქანის ადამიანებო! აბა თქვენ სადა გაქვთ ჩვენი ცხოვრების სილამაზის შეგრძნების უნარი!

— აბა რას ამბობთ! — ცხარედ შეედავა საშა. — ძალიანაც გვიყვარს და ვაფასებთ სილამაზეს. მაგრამ, თქვენც ხომ უნდა გაგვიგოთ.

— რა გჭირთ ისეთი გასაგები?

— აბა, ერთი წარმოიდგინეთ, რაოდენ რთულია და როგორ არის აწყობილი ჩვენს ქვეყანაში მატარებლების, გემებისა და თვითმფრინავების მოძრაობა, იმ წერტილების ქსელი, სადაც მათი გზები ერთმანეთს ჰკვეთენ, სადაც თითოეული მათგანი ზუსტი განრიგის მიხედვით უნდა იყოს. ეს საჭიროა, რათა ცხოვრებამ თანაბრად, შეუფერხებლად იდინოს. განა ეს სილამაზე არ არის?

— კაცმა რომ თქვას, მართალია, — დაეთანხმა ლავროვი. — მაგაზე სულაც არ დავფიქრებულვარ.

ვოლგას მიჰყვებოდნენ. მარჯვენა ციცაბო ნაპირის მოოქროულ გორაკებს ბოლო არ უჩანდა. ელექტრონის ფოლადის ანძები მუხლებამდე ჩამოცვენილ ფოთლებში ჩაფლულიყვნენ. იქ, მაღლა, მაგრად გაჭიმულ მავთულებში გაუჩერებლად მიედინებოდა დენი; ლავროვს რატომღაც ისე ეჩვენებოდა, თითქოს ეს დენი ლურჯ ფერს გამოსცემდა. იქნებ იმიტომ, რომ დენი, როდესაც თავის თავს აღმოაჩენდა, ცისფრად ფეთქავდა.

მარცხენა ნაპირი ნისლში იყო ჩაფლული. ნისლი ნაირფრად იყო შეფერილი. შიგ ათასნაირი ლაქები ირეოდა, ხან ვარდისფერი და ოქროსფერი, ხან ლურჯი და ხან იასამნისფერი, წითელი და ბრინჯაოსფერი, განიერი და ვიწრო ლაქები. ლავროვმა იცოდა, რომ ეს ნისლის იქითა გამონაკრთობი, ჩამავალი მზის სხივებით განათებული, ხან ტყისა და ხან ღრუბლის ფერები იყო, ხან ნაპირების ჩამონაშალისა და ნისლში [illegible]ლული უჩინარი ქალაქების თეთრი შენობებისა.

ერთხელ ლავროვი სკამზე ჩამომჯდარიყო ზედა გემბანზე, კაპიტნის ბოგურის მახლობლად, სადაც მგზავრები არ არიან ხოლმე. მას ჩარჩო წინ დაედგა და სწრაფად, ფუნჯის ფართო მოსმით, ხატავდა ტილოზე ჰაერის, ნისლის, ნაირფერი წყლის, გამოსახულებათა და ოქროსფრად მობიბინე შორეთის საღამოს პირზე მიწყნარებულ სამყაროს.

საშა ვახტზე იდგა კაპიტნის ბოგურაზე. მან რამდენიმეჯერ კითხვით შეხედა ლავროვს და მერე ცას ახედა. სწყინდა, რომ ასე სწრაფად ღამდებოდა, რომ მალე მთელი ეს შუქი ჩაქრებოდა და ბინდ-ბუნდი ყველაფერს ერთნაირად ნაცრისფრად შეღებავდა. „ვერ მოასწრებს! — გაიფიქრა საშამ. — ნეტავ უფრო ჩქარა ხატოს!“

საშამ საყვირის გვარლი ჩამოსწია. გემმა გაბმით, გამაფრთხილებლად დაიყვირა — ნავი უჭრიდა გზას.

გემი სწრაფად უახლოვდებოდა ნავს და ლავროვმა უცებ დაინახა: ნავში ახალგაზრდა ქალი იდგა. ჟაკეტი გახსნოდა. შემოდგომის ფოთლებგაყვითლებული ტოტების კონა გულზე მიეხუტებინა და გემს შესცქეროდა. ნიჩბებს მზით გარუჯული ჭაბუკი უჯდა, მან ნიჩბები შეაჩერა და გემს მიაპყრო თვალი. შემოდგომის ტოტების გამოსახულება წყალში ქანაობდა, ნავის კიდესთან.

მთელი ეს საღამო, ქალიც და მდინარის თავზე მოკიაფე, ყურძნის მტევნის მსგავსი ღრუბელიც ამ მშობლიური და არაჩვეულებრივი ქვეყნის მშვიდობისა და დასვენების ისეთ მკაფიო განსახიერებად ეჩვენა ლავროვს, რომ მან მხოლოდ ამოიოხრა და გაჯავრებით გადახედა საშას.

ერთ ხანს მხატვარი ხელში აწეული ფუნჯით ელოდა, რომ საშა წუთით მაინც შეაჩერებდა გემს, მაგრამ საშას გაქვავებული და თითქოს გაბოროტებული სახე კი ჰქონდა.

ნავი ქალიანად სწრაფად შორდებოდა და რწევით იმალებოდა ბინდბუნდში. ჩამავალი მზის უკანასკნელი შუქი ეცემოდა შემოდგომის ტოტების გროვას. სიბნელემ ვერა და ვერ ჩააქრო ფოთლების ოქროსფერი ნათელი.

ლავროვმა გულმოსულად დახურა საღებავების კოლოფი და თავის კაიუტას მიაშურა. კაპიტნის ბოგურას რომ ჩაუარა, ცერად გახედა საშას. ქალი გაწითლდა და პირი იბრუნა.

„კეთილი! — გაიფიქრა ლავროვმა, — სხვა დროს მოვილაპარაკებთ როგორმე“.

თავის კაიუტაში იგი დიდხანს ფიქრობდა იმაზე, თუ რას ეტყოდა საშას. ერთი კარგი საბრალმდებლო სიტყვა გამოსდიოდა. მაგრამ იმ საღამოს ლავროვს საშა აღარ უნახავს: როგორც ჩანს, ქალიშვილს ეძინა მორიგეობის შემდეგ. ღამის განმავლობაში კი საბრალმდებლო სიტყვა როგორღაც გაუფერულდა და სულელურიც კი ეჩვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავროვი ჩაფიქრდა. მაინც რას მოითხოვდა? რომ სიცოცხლე გაჩერებულიყო მის წინ. სიცოცხლე ხომ არასოდეს შეჩერდება! იგი ყოველთვის იდენს ფართო და მრავალფერ ნაკადად იმ შორეთისაკენ, ჩვენ მომავალს რომ ვუწოდებთ. თუ ჩამორჩი, ნაკადი თვალწინ ჩაგივლის, გამკრთალდება და მერე ვერაფრით ველარ დაეწევი.

„მგონი, მართალია გოგონა, — გადაწყვიტა ბოლოს ლავროვმა, — სულ ტყუილად შემოვწყერი...“

მეორე დღეს, გემბანზე რომ შეხვდა საშას, ლავროვმა ჩახედა დარცხვენილ, მხიარულ თვალებში და უთხრა:

— აუცილებლად დაგხატავთ, ოღონდ ახლა კი არა, ზამთარში, მოსკოვში. თანახმა ხართ?

— რა გაეწყობა, — უპასუხა საშამ. — გმადლობთ, ვლადიმირ პეტროვიჩ.

მან მსუბუქად და მინდობილად დაადო ხელი ლავროვს სახელოზე.

ლავროვმა მდინარეს გახედა. ჩამწკრივებული ჩირაღდნები ციმციმებდნენ შემოდგომის წყვდიადში. ბეჭებგანიერი გოლიათივით მიაქანებდა ვოლგა ბროლის ზვირთებით სიგრილესა და სინოტივეს ღამის წყვდიადში და თან მიჰქონდა ამ სინათლეთა ანარეკლი, შუქის ზოლებად აქცევდა და ამსხვრევდა მას. გემი კუიბიშევის ჯერ დაუმთავრებელ კაშხალს უახლოვდებოდა.

* * *

დეკემბერში საშა ტრეტიაკოვის გალერიაში წავიდა სურათების ყოველწლიურ გამოფენაზე.

საღამო ხანი იყო. ბარდნიდა, და ქუჩიდან სახლების განათებულ ფანჯრებს რომ შეხედავდით, გეგონებოდათ, იქ, იმ სახლებში, ათასობით კანდელი ანთია და რაღაც ჩუმი, ზამთრის დღესასწაული გაუმართავთო.

გამოფენაზე ცოტა ხალხი იყო. საშამ სწრაფად დაიარა დარბაზები, ლავროვის სურათს ეძებდა. ქალიშვილმა შორიდან დაინახა სურათი, შეჩერდა და მღელვარებისაგან ერთი წუთით სუნთქვაც კი შეეკრა...

როგორ, რანაირი შეუცნობელი ძალით შესძლო ამ სიტყვაძვირმა, და ერთი შეხედვით თითქოს მოუქნელმა კაცმა, საუკუნოდ შეეჩერებინა ის საკვირველი საღამო მდინარეზე და გაცილებით უფრო მეტი მშვენება და ფერები დაენახა მასში, ვიდრე საშამ დაინახა იმავე დროს? რა აძლევს მას ძალას? ნიჭი? ან იქნებ ის, რომ ნიჭი თავისი საკვირველი ქვეყნის სიყვარულთან არის შეერთებული?

„როგორ შესძლო ზეპირად დაეხატა ის საღამოც, ნავი და ქალიც, შემოდგომის ტოტებით ხელში? — გაიფიქრა საშამ. — მე ხომ არ შევაჩერე გემი, თუმცა მშვენივრად მივხვდი, რომ მხატვარი ელოდა ამას“.

საშა იდგა, შორიდან შესცქეროდა სურათს და მღელვარება მოულოდნელმა სიხარულმა შესცვალა. „რა კარგია ყველაფერი! — გაიფიქრა მან. — აი, ეს ფუმფულა, ზარმაცი საღამოს თოვლიც კი, სახეში რომ უღიტინებს კაცს. ყველაფერი, ყველაფერი!..

თარგმნა ვალენტინა ძიძიგურმა

ლია ასათიანი

## არც დაღონება და არც ღიმილი

გამომეთხოვე და ნუღარ მოხვალ,
თითქოს არც მინდა, რომ ისევ გნახო.
ღამე უნთია მოცვსა და მოცხარს
და იზმორება საძილედ ახო.

ტყეს ფეხქვეშ ეგო რბილი ბალახი,
გზის ნაპირებთან კრთებოდა ბალბა,
მიწას ეხატა მკერდზე ქალაქი
და ნიაღვარმა წაშალა ალბათ.

მე იმ ნიაღვარს ღიმილად ვერთვი,
რეცხოს, წალეკოს, რას ვემართლები?
წავყვები ბაღში, შემსრუტავს ვერხვი
და ახოვანად აღიმართება.

ოდეს აგრილებს ადესის ჩრდილი,
მზე ფოთლის თრთოლვას კედელზე ხატავს,
ჰუპრში ეხვევა მუმლი და ჩრჩილი
და სათაგურთან თვლემს დიდი კატა.

## რაღაც სხვა

მატარებლის მოტანილ ხმაურს
ეპასუხება ყეფა ნაგაზთა.
შავად ჩაცმული, შორს ვიღაც მიდის
და ბავშვი გარბის ჩანთით ხაბაზთან.
აი, ჩელტებიც გამოფენილი
შინდის კერკით და კლიავის ჩირით,
მიწის ბელტები, შავი ნახნავი,
სიმინდის ყანა და კაკლის ძირი;
რაღაც ღიღინი, შორი ღიღინი,
არ ისმის თითქოს, და მაინც მესმის.
პატარა ბიჭი შიშველ ფეხებით
გოჭებს მისდევს და გრძელ სახრეს ესვრის.
ხიდი გადგმული ორ ნაპირს შორის,
და ჯაჭვით ცაში გაბმული ხიდი,
რუხი ქოხები, თეთრი ოდები
და შენობები მთებივით დიდი.
ღამე... ათასი ციცინათელით
განათებული ბნელი სარკმელი;
ყველგან დავტოვე თითო სიმშვიდე,
ყველასთან მქონდა თითო სათქმელი.
რა უცხოა და დაუვიწყარი
განცდა, მგზავრობის ნასახსოვრები.
ვჩერდები ყველგან და წამიერად
ვარსებობ სხვისი წილი ცხოვრებით.

გული სალუქვაძე

## მამას

— გვიშველე ღმერთო! — ხელს აპყრობდა ბებიაჩემი
და იგულვებდა სამართალს ღმერთში.
— მიშველე ღმერთო! — ჩურჩულებდა ქალწული ქალი
და გულისხმობდა სიყვარულს ღმერთში.
— მიშველე ღმერთო! — ამბობდა გმირი,
სამშობლო იყო იმისი ღმერთი.
— მიშველე ღმერთო! — ხმობდა ცოდვილი
და მოუხმობდა სიწმინდეს ღმერთში.
— მიშველე ღმერთო! — ამბობდა ძუნწი,
სიმდიდრე იყო იმისი ღმერთი.
— მიშველე ღმერთო! — ამბობდა ბრმა და
სინათლე იყო იმისი ღმერთი.
— გვიშველე ღმერთო! — ამბობდნენ ომში,
აქ ძლიერებას ქვიოდა ღმერთი.
— გვიშველე ღმერთო! — ამბობდა ხალხი
და ცადაწვდილი ჰქონდათ ხელები.
— გვიშველე ღმერთო! — ამბობდნენ მიტომ,
რომ არ იცოდნენ სხვა სახელები.

## ექსპრომტი

ველარ ვიკარებ შენს ნაყიდ ხალათს,
ერთ დროს გრძნობით და სითოთ ნაჩუქარს,
არ მოველოდი მე შენგან ღალატს
და გულს ვარწმუნებ და გულს ვაჩუმებ,
მაგრამ გულმა რომ განსჯა თვით იცის,
გულს სხვა მრჩეველი აღარ სჭირდება.
გული ყველაზე ძლიერად იწვის,
მაგრამ ყველაზე სწრაფად ცივდება.



# ღიაა მისი კაბინეტის კარი

მატარებელი ბორბლების ხმაურში იმოკლებდა გზას. ფანჯარასთან მჯდომ ქალიშვილს სარკმლის მიღმა გადაშლილ ეზო-ბაღებისთვის მიეპყრო მზერა. შარაგზაზე საწიგნეებიანი გოგო-ბიჭები რომ შენიშნა, თვალში მოჭარბებული სითბო ჩაეღვარა, მოუსვენრობა დაეტყო.

— სწავლობ, ბიძია? — შეეკითხა მის წინ მჯდომი მოხუცი.

ქალიშვილს ლაწვები შეუფაკლდა, აილეწა და უცხოს დარცხვენით მიუგო:

— არა, ბატონო, დავამთავრე, მასწავლებლად გამომგზავნეს ჩემს სოფელში.

— ბავშვები კი გყვარებია, — დარიგებასავით გაისმა მოხუცის ხმა და ქალიშვილს მოეჩვენა, რომ თანამგზავრს დარჩა უთქმელი რაღაც...

* * *

— თითქოს გუშინ იყო ყველაფერი ეს, — ღიმილით იგონებს თალიკო მიქაძე.. — დრო კი ბევრი, ძალიან ბევრი გავიდა.

დრო შეიძლება მართლაც ბევრი გავიდა, მაგრამ თუ იგი სისხლსავსე ცხოვრებით არის სავსე და გრძნობ, რომ სასარგებლო ხარ საზოგადოებისათვის, თმაში ჭაღარაც აღარ დაგაღონებს ძლიერ.

— ჭაღარა? ჰო, რა თქმა უნდა... — იგი ხალვათად იღიმება და თმაზე, ვერცხლისფერი სიმები რომ გარევია, სათუთად ისვამს ხელს.

...21 წლის ქალიშვილმა მასწავლებლობით დაიწყო შრომითი ცხოვრება, გულისხმიერი და გამრჯე, მალე კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად აირჩიეს. იმავე წელს პირველ მდივნად გადაიყვანეს და ათიოდე წელი უხელმძღვანელა რაიონის ახალგაზრდობის შრომასა და სწავლას. შემდეგ კი, აგერ უკვე მეცხრე წელია პარტიის რაიკომის მდივნად მუშაობს.

მუშაობსო, რომ ვიტყვით სხვაზე, ზოგჯერ მხოლოდ ჩვენთვის ნაცნობ სფეროს გადავავლებთ თვალს. სხვის უბანს კი მთელი სისავსით ვერ წარმოვიდგენთ, ვერ წარმოვიდგენთ, რომ სხვის სამუშაოშიც არსებობს სიძნელეები, გაწბილება, ზოგჯერ გულისტკენაც კი.

უზუსტესი მათემატიკური გამოთვლები, უდიდესი კოსმოსური აღმოჩენები და სხვა დიდი პრობლემების გადაჭრა თუ მხოლოდ სულით ძლიერთა და მაღალი ნიჭით დაჯილდოებულთა ხვედრია, ჩვეულებრივ ადამიანს ხომ შეუძლია, ჩვეულებრივად, მაგრამ კეთილსინდისიერად, კარგად აკეთოს, რის გაკეთებაც მას ევალება და სხვას არ დააწვეს მძიმე ტვირთად, — დამაჯერებლად ეუბნება რაიკომის მდივანი ერთ-ერთ სტუმართაგანს.

მიაღწია თუ არა ნათქვამმა მიზანს?

წამოჭარხლებული სტუმარი შუბლს იჭმუხნის, დგება და, უკვე კარებში მდგომი, ერთადერთ სიტყვას წარმოთქვამს: — მაპატიეთ.

— პედაგოგია, — ამბობს მდივანი და, ეტყობა, უმძიმს ამ სიტყვის თქმა — საჩივრების წერას დაეჩვია, ამხანაგების ცილისწამებას.

მდივანს, თვალებცქრიალა, საქმიანი იერის გოგონები ეწვივნენ, აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები. ავტოსატრანსპორტო კანტორაში უარი ეთქვათ შეპირებულ მანქანაზე, საღამოსათვის კი თურმე რაიონიდან დაშორებულ სოფელში მათ კონცერტზე ელოდებიან.

გოგონები მადლიერნი დაემშვიდობნენ მასპინძელს. სოფელში აუცილებლად გაიმართება კონცერტი.

ღიაა კაბინეტის კარი. მოდიან ადამიანები, მათ რაღაც აწუხებთ, ვიღაცა ისე არ მოექცათ, როგორც საჭირო იყო, გაუნაწყენებიათ, არ გაუზიარებიათ მათი პატარა თუ დიდი გულისტკივილი.

— აი ამისთვის შეგაწუხე, შვილო, — ძაძებიანი ქალი შავებში შეხვეულ ფერგადასულ ქაღალდებს შლის მაგიდაზე. რაღაც მშობლიურად, თბილად და შინაურულად ჟღერს სიტყვა „შვილო“ და უეცრად შეიგრძნობ, რომ ჩვეულებრივ, მაგრამ კარგად კეთება დიდებული საქმეა.

— გავარკვევთ, აუცილებლად დაგეხმარებით, — ისმის იმედის მომცემი ხმა.

ცრემლი?.. ჰო, ცრემლი უკრთის მდივანს თვალებში და იმ ცრემლიანი მზერით აცილებს ძაძებიან სტუმარს.

— ამ ქალმა ორი შვილი შესწირა სამშობლოს, — ამბობს მდივანი. — უმცროსი სევასტოპოლში ეგულება, საძმო საფლავში, მეორესი კი არა იცის რა და ეძებს.

ფიქრში წასული იჯდა ერთხანს, იმ წუთში დედისა და მეუღლის გრძნობა სჭარბობდა მასში. ალბათ თავისი პირმშოს, პატარა დათოს მომავალს ეძებდა ფიქრებში. მერე ტელეფონმა გაიწკრიალა, თბილისი იყო.

ქალთა რესპუბლიკური საბჭოს წევრს — თალიკო მიქაძეს საბჭოს მორიგ სხდომაზე იხმობდნენ.

**დავით ასკურავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი თამარი

ძნელია ისეთ მკითხველს გაუწიო მომსახურება, როგორიც ჟურნალისტები და პრესის მუშაკები არიან. ყველა საკითხზე ზუსტ და კონკრეტულ პასუხს მოითხოვენ. ვინ დააკმაყოფილებს მათ ცნობისმოყვარეობასა და მოთხოვნილებებს, თუ არა განათლებული და გამგები ბიბლიოთეკარი?

აბა წარმოიდგინეთ, როგორი ენერგია უნდა ჰქონდეს ამ ქალს, როცა მის ხელში, დროის სულ მცირე მონაკვეთში დასამუშავებლად და დეშიფრირებისათვის 15.000 ცალმა წიგნმა გაიარა. ჯერ სათითაოდ დაამუშავა, ბიბლიოგრაფიულად აღწერა, შემდეგ თაროებზე თავთავისი ადგილი მიუჩინა. თუ ამ წიგნებს ჟურნალებსაც მივუმატებთ, მაშინ წიგნადი ფონდი სულ 22.000-ს მიაღწევს.

ყველა ჟურნალს თავისი პასპორტი აქვს. თამარ ღვინიაშვილმა იცის, რომელი წიგნი თუ ჟურნალი ვის ხელშია, როდის წაიღო წასაკითხად, როდის უნდა დააბრუნოს; თუ შეაგვიანეს დაბრუნება, მაშინ თვითონ ეახლება და შეახსენებს წიგნითა და ჟურნალით სარგებლობის წესებს.

ჟურნალებისა და გაზეთების კომპლექტები თვალსაჩინო ადგილას გამჭვირვალე ვიტრინებში ანბანის მიხედვით არის განლაგებული. პერიოდული გამოცემების ასეთ თვალსაჩინოებას ვერცერთი ტიპის ბიბლიოთეკაში ვერ ნახავთ. ბიბლიოთეკის გამგე, მკითხველის უფრო სრულყოფილად მომსახურების მიზნით, თვით მკითხველებს უშვებს თაროებთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის გაერთიანებული ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია პოლიტიკური, ტექნიკური, მხატვრული და ჟურნალისტებისათვის განკუთვნილი ლიტერატურით. მართალია, ეს უკანასკნელი ნაკლებად მოიპოვება, მაგრამ თუ სადმე რაიმე სიახლეს მოკრა ყური თამარმა, მაშინვე იშოვის, მოახერხებს მის შეძენას. ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს საკავშირო და რსფსრ ყველა გაზეთი, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური გაზეთები, საქართველოს სსრ-ის ყველა გაზეთი (რაიონული გაზეთების ჩათვლით), 200-მდე დასახელების ჟურნალი.

უნდა ითქვას, რომ ამ სახით ბიბლიოთეკა სულ რაღაც ორი წელია რაც არსებობს. იგი მომსახურებას უწევს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რადიოკომიტეტისა და ტელევიზიის მუშაკებს. ბიბლიოთეკამ დიდი დახმარება გაუწია კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას გაზეთების კომპლექტებში არსებული ხარვეზების შევსების საქმეში, რისთვისაც აღნიშნული ბიბლიოთეკის დირექციის, პირველადი პარტიული ორგანიზაციისა და ადგილკომის მადლობა დაიმსახურა.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის სარგებლობაში მყოფი 9.000 წიგნი ამ გაერთიანებულ ბიბლიოთეკას გადაეცა საერთო სარგებლობაში. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკარის კანდიდატურაც ღირსეული შეარჩიეს. იგი ფილოლოგია, სპეციალური საბიბლიოთეკო განათლება არა აქვს, მაგრამ აბა სცადეთ და გამოელაპარაკეთ ბიბლიოთეკათმცოდნეობის რომელ საკითხზეც გნებავთ! ნამდვილად მოხიბლული დარჩებით. თამარმა გულახდილად თქვა: პირველად ცოტა მიმძიმდა, არ ვიცოდი, როგორ გავართმევდი თავს ბიბლიოთეკარის ამ დაუნახავ, მაგრამ ძალზე საპასუხისმგებლო საქმეს, მაგრამ ახლა თამამად შემიძლია ყველა სახის ბიბლიოთეკაში ვიმუშაოო. რომ ეს მართლაც ასეა კატალოგების გადათვალიერებითაც დარწმუნდებით. გემოვნებით გაფორმებული სამკითხველო დარბაზის რომელიმე კუთხეში მუდამაა აქტუალური თემისადმი მიძღვნილი გამოფენა, ეწყობა მკითხველთა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, იმართება მკითხველთა კონფერენციები...

არანაკლებ საინტერესოა თამარ ღვინიაშვილის მთარგმნელობითი საქმიანობა; მან თარგმნა ივანე ფრანკოს სატირული ხასიათის მოთხრობები, ვერა ჩაპლინას — „ჩემი აღზრდილები", გალინა ნიკოლაევას — „ბრძოლა გზაზე", რამდენიმე პიესა, რომლებიც წლების მანძილზე იდგმებოდა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრების სცენებზე. მისი ნარკვევები ხშირად იბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

თამარს მაინც ყველაზე ძალიან ის წლები უყვარს, როცა სრულიად ახალგაზრდა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის უფროს მემანქანედ მუშაობდა. მისი თაობის ადამიანებიც იგონებენ თამარის მაშინდელ საქმიანობას. კვალიფიციური მემანქანე მხოლოდ გაზეთის წამყვან მასალებს ბეჭდავდა. ერთნაირი სიზუსტითა და სიჩქარით ბეჭდავდა რუსულად და ქართულად. მას სისტემატურად იწვევდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებისა და ყრილობების მსვლელობის პერიოდში მასალების დასაბეჭდად. 1940 წელს, როცა თამარი მოსკოვში მიავლინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალების დასაბეჭდად, მისი მუშაობით მოხიბლულებმა მას სთხოვეს სამუშაოდ დარჩენილიყო მოსკოვში.

გულთბილი და გულისხმიერი, დედასავით უყვართ იგი ბიბლიოთეკის მუშაკებს — ბელა გიგაურსა და ნელი გოგილაშვილს. როცა ნელის უმაღლეს სასწავლებელში გამოცდები აქვს, მის საქმეს ერთთავად თამარი ასრულებს, როცა ბელას შვილი შეუძლოდ ჰყავს, მაშინ მას ეშველება. ამიტომაცაა, რომ ბიბლიოთეკაში მუდამ სანიმუშო წესრიგია და საქმე საათივით არის აწყობილი.

თამარ ღვინიაშვილი ჟურნალისტთა კავშირის წევრია. დაჯილდოებულია მედლებით, მიღებული აქვს მრავალი მადლობა და პრემია.

ნანული ბუკია



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთასვლელის ბილიკები

მთისკენ ბილიკი მიდის. მთის ძირას მწვანე ბალახი იზრდება. ბალახი მოჩითულია მწიფე მარწყვით, დვალურას ვარდისფერი სქელი თავებით, თაფლისფერი ღიღილოთი და ტყის ნემსიწვერათი.

ქვებს ხავსი მოსდებია, ლოდების ძირას მთის ია მიყუჟულა. ბიბინებს ყვითელი იელი და დეკა.

მთისკენ ბილიკი მიდის. ბილიკი ძნელადსავალია. ზევით, შორს, ყინულებში, ცისფერ თოვლში იზრდება ედელვეისი.

ზევით, სულ ზევით ლურჯი ცაა, საწმისის მსგავსი ღრუბლები... და ღრუბლებზე მაღლა — მწვერვალი.

წვეთავენ წყაროები, ჩხრიალებენ ნაკადულები. მთებში ჯიხვებია და არწივები. მთის ღამე ზღაპრული დედოფალია, ვარსკვლავები — მისი სამკაულები.

ასე მოვიდა ოცნება მთებზე.

* * *

1945 წელი.

მყინვარმა ერთხელ კიდევ მოიდრიკა ამაყი ქედი. 5.038 მეტრი სიმაღლიდან ცამეტმა წყვილმა თვალმა გადმოხედა ყინვართგუშაგებს, დევდარაკს, შევარდნის ბუდეს.

12 მამაკაცი და ერთი ქალი. ეს ქალი მარინე უთმელიძე იყო, 22 წლის სტუდენტი.

ხმაურით ეცემოდნენ ლოდები უფსკრულებში, ფეხი სხლტებოდა თოვლყინულა ველზე. თვალსაწიერზე ელავდნენ ჯიმარაი, ჩათის ყინვარი, მაილიხოხი, ყურო, ხდის მწვერვალი; ვერცხლის ზონარს ჰგავდა თერგი.

1945 წელი. ომში დაღუპულ თანატოლთა ხსოვნას ეძღვნებოდა ეს ასვლა.

* * *

„20 აგვისტო, 1952 წელი.

სალამი თორნიკეს, მარინესა და სხვებს!

გილოცავთ სულითა და გულით და განუსაზღვრელად მოხარული ვართ თქვენი გამარჯვების.

თქვენი ალექსანდრა“.

ეს ბარათი დახვდათ გულის ყინვარზე ნიშის ქვეშ უშბის ტრავერსიდან დაბრუნებულებს. ეს იყო პირველი მოლოცვა.

ამონაწერი ძველი გაზეთიდან:

„ზემო სვანეთიდან მივიღეთ ცნობა, რომ ოთხმა ახალგაზრდა მთასვლელმა — მარინე უთმელიძემ, თორნიკე ტატიშვილმა, სარგის ცაიშვილმა და ჯუმბერ მეძმარიაშვილმა — ბრწყინვალედ დაამთავრა უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი.

ეს არის ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფი, რომელიც კი ყოფილა კავკასიონის ამ უძნელეს მწვერვალზე, ხოლო მარინე უთმელიძე — პირველი ქართველი ქალია, რომელმაც უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი მოახდინა“.

მარინეს დღიურიდან: „სამი დღეა ქარიშხალი მძვინვარებს. უნაგირას გავლას დაახლოებით ოთხი საათი მოვუნდით. შემოგვაღამდა სამხრეთ მწვერვალის კლდეებზე. მეტი გზა არ იყო, კლდეზე მიჯაჭვული ვიყავით მთელი ღამე და გათენებას ველოდით. დილით მშვენიერი ამინდი დადგა და იმავე დღეს ძნელი კლდეების გადალახვის შემდეგ უკვე სამხრეთ მწვერვალზე ვულოცავდით ერთმანეთს გამარჯვებას“.

ამ ოთხეულმა დალაშქრა თეთნულდი, ლეღზირის მყინვარი, ყაზბეგი, ზემო სვანეთი, ჭაუხები.

მერე შორს, ტიან-შანის მთებში წერაყინი გადაუტყდა ჯუმბერ მეძმარიაშვილს. მთა მუხთალიცაა... და დიდუბის პანთეონში შავ მარმარილოზე ამოიკვეთა გადატეხილი წერაყინი.

* * *

მტკაველ-მტკაველ დაიარა საქართველოს მთიანეთი მარინემ. გეოლოგის პროფესია. ძიების სურვილი. მყინვართა მკაცრი პოეზია. 1945 წელი — პირველი ნათლობა. 50 ასვლა სხვადასხვა მწვერვალზე. უამრავი ჯილდო.

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი მარინე უთმელიძე სიტყვაძუნწი ქალია.

ყინვარებს ჩუმი სიმამაცე სჭირდებათ. ამ რწმენით ზრდის მარინე ნორჩ მთასვლელებს. იგი საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა მასობრივი ტურიზმის განვითარების დარგში. წლების განმავლობაში მუშაობდა პიონერთა სასახლეში. მომზადებული ჰყავს ათასზე მეტი ტურიზმისა და ალპინიზმის ნიშნოსანი.

ახლა მარინე ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციაში უფროსი მეცნიერი რედაქტორია და მუშაობს საქართველოს გეოგრაფიის მასალებზე.

* * *

მყინვართა საუფლოში ღმერთები დააბიჯებენ.

ღმერთებს თეთრი, თეთრი წვერი აქვთ და მრისხანე თვალები.

მთის ღმერთი მკაცრია.

თვალშეუდგამ ქარაფებში ოჩოპინტე დაჰქრის.

ნაპრალებში ათასი ჭინკა ჩასაფრებულა.

მყინვართა საუფლოში სიჩუმეა.

„ადგილი ესე შეუვალ არს!“

ადამიანებმა დაჯაბნეს ღმერთი, დააფრთხეს ოჩოპინტე და ათასი ჭინკა.

ამ ძლიერ ადამიანთა რიცხვშია მარინე უთმელიძე, რომლის ფერხთა ქვეშ ბევრჯერ მოიდრიკეს მწვერვალებმა თავი.

თინა ჩხაიძე

ლილი ნუცუბიძე

# ფიქრები ვანის სამარხთან

ვინ დამინგრია ჩემი კოლხეთი,
ვინ ამიჩეხა ვაზი ჭიგოზე,
ამ ჩაქცეულ ბჭეთ, მზეო, მოხედე,
შენი სინათლე გამოუზოგე.
ვინ დამინგრია ჩემი კოლხეთი,
ვინ ამიჩეხა ვაზი ჭიგოზე!

მოვარდა ვიღაც ძალით, მახვილით,
ცეცხლმა და კვამლმა შთანთქა ნათელი,
დარჩა ქალაქი მუხლზე დახრილი
და შეყინული ტუჩზე სათქმელი.

ვინ იცის, ვისთან ბრძოლაში დაშვრა
სიცოცხლე ერთი კოლხი ვაჟკაცის,
და სამარეში აქამდე დარჩა
ჩაუგებელი ხმალი ქარქაშში.

მიწა შრიალებს გაშლილ წიგნივით,
ზეცა ჩასცქერის ოქროს სათვალით,
ხელში მიჭირავს ჟამთა გვირგვინი
და იკითხება ჭირი-მართალი...

გულღია საფლავს კრძალვით ჩავხედავ,
ის ჩემთვის მხოლოდ დუმილს იმეტებს..
ნეტა რა ერქვა იმ ქალს სახელად,
ან ვინ შეაბა ყელზე მძივები?

ვინ დამინგრია ჩემი კოლხეთი,
ვინ ამიჩეხა ვაზი ჭიგოზე?
ამ ჩაქცეულ ბჭეთ მზეო, მოხედე
შენი სინათლე გამოუზოგე.

* * *

ხანდახან ჭერში ჩამოდის წყალი,
და ჩემი სახლი წვიმით ივსება,
არეულ ზეცას შევხედავ მწყრალი.
რადგან ჩემ ჭერში ჩამოდის წყალი.

ხანდახან სულში მზე შემოვა და
მზით აივსება ყველა კუნჭული,
ვხედავ: ბაგეზე სხივი მომადნა
და სამადლობელს ვამბობ ჩურჩულით.

დამავიწყდება, რომ ვიყავ მწყრალი,
რომ ზოგჯერ ჭერში ჩამოდის წყალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფელი ღამით

# ნათელა იანქოშვილი

როდესაც ნათელა იანქოშვილის სახელოსნოდან ბრუნდები, ერთი აზრი აგედევნება: რა დიდი გარდატეხაა მომხდარი საერთოდ ქართულ მხატვრობაში ფიროსმანის გამოჩენის შემდეგ! მხატვრობა, რომელიც გასულ საუკუნეში რუსულ და ევროპულ დინებებთან პირისპირ შეხვედრით სოციალური ამოცანებითა და კლასიკური ფერწერის სიმაღლეებით ესოდენ გამდიდრდა, მაგრამ საკუთარი მიწის სურნელების გრძნობა შეუსუსტდა, რა საოცარი ძალით შემოტრიალებულა ისევ ხალხური-ეროვნული სათავეებისაკენ და სხვათა სიკეთით გამდიდრებული, საკუთარი ძლიერი ხმით ამღერებულა.

ასეთია დღეს ქართული მხატვრობის საუკეთესო ფრთის ძირეული ნიშნები და მისი სახელოვანი პლეადის ფონზე ძალიან ძნელია ვინმე მკაფიოდ გამოჩნდეს. მაგრამ, ნათელა იანქოშვილი, ამ მხრივ, ერთ-ერთი მათგანია.

მხატვარი ქალი მნახველს ჰგვრის იმ იდუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნინო ჯავახიშვილი

ეალ სიხარულს, რომელსაც იწვევს ჭეშმარიტი ხელოვნება, და ცდილობს, ის რაც გატაცებით შეუთხზავს, შეაყვაროს მნახველსაც, ისიც აზიაროს თავის გატაცებას. მის ნაწარმოებთა დიდი ღირსება ისიც არის, რომ მათში, უპირველეს ყოვლისა, ჩანს თვითონ მხატვარი, თავისი სულის ელფერითა და განუმეორებელი „მე“-თი.

ნათელა იანქოშვილი, როგორც დედით, ისე მამით, კახეთის მკვიდრია. უდაოა, რომ კახეთს, საქართველოს ამ ერთ-ერთ წარმტაც კუთხეს, მის ბუნებას, ადამიანებს, თავისებური ძარღვიანობა, სიჯმუხე და სიდიადე ახასიათებს ამ თვისებებმა გარკვეული კვალი დააჩნიეს შემოქმედის სულს, რომელიც აქ, ამ წიაღში შობილა და გაზრდილა. ნათელა იანქოშვილის შემოქმედებაში კახეთის ეს მადლი აშკარად შეინიშნება. მისი ნაწარმოებები აღბეჭდილია მონუმენტურობის გრძნობით, ლაკონიურობითა და თავისებური, დინჯი ემოციურობით. მის მამაკაცურად მტკიცე ხელში მომარჯვებული ფუნჯით ნაწერი ტილოები ეპიკური ხასიათის ნაწარმოებებია. მაგრამ ნ. იანქოშვილის ნიჭი და გემოვნება მარტო გარემოთი არ არის განპირობებული.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მხატვრებს შორის ნათელა იანქოშვილი ეპიგონური, გარეგნული განმეორების თვალსაზრისით ყველაზე შორსაა ფიროსმანისაგან, მაგრამ იგი ერთი იმათგანია, რომლებიც ხარბად დაეწაფნენ ფიროსმანში ხალხური, ეროვნული თაურების არსებას.

ამიტომ მსგავსების ცნება სწორად ვერ გამოხატავს ფიროსმანთან იანქოშვილის შემოქმედების თავისებურებათა დამოკიდებულებას. აქ ჩვეულებრივი მსგავსება გამორიცხულია, რამდენადაც თავისი შედეგით იანქოშვილის შემოქმედება სრულიად განსხვავებული მხატვრული მოვლენაა.

იანქოშვილის მხატვრობა იმითაცაა საყურადღებო, რომ ფიროსმანისეული ხალხურობა, პირდაპირობა, გაბედულობა, ლაპიდარული თხრობა და ექსპრესია ორგანულადაა შესისხლხორცებული მის პროფესიონალიზმთან. ეს არის სწორედ ძირითადი ნიშანი იანქოშვილის შემოქმედებისა.

მხატვარი გატაცებით ხატავს ახალი საქართველოს წარმომადგენლებს — ტყიბულელ მეშახტეებს და გურულ კოლმეურნეებს, პირქუში მთების წიაღში შობილ სვანებსა და თბილისელ სტუდენტ გოგონებსაც, ჩვენი კულტურის სხვადასხვა დარგის გამო-

ჩენილ მოღვაწეებს და უბრალო, რიგით ადამიანებსაც. მხატვარი აწმყოსთან ერთად სამართლიანად ამაყობს ჩვენი ხალხის დიდი წარსულითაც. მის შთაგონებას ხან თამარის შორეული ხატება აფორიაქებს, ხან — ჩრდილოეთის „მგლოვიარე პატარძლის“ — ნინო ჭავჭავაძის ღვთაებრივი იერი, ხანაც — ვაჟკაცობა უცნობი ქართველი ქალისა, რომელიც შორეულ წარსულში შემოსეულ მტერს მამაკაცებთან ერთად წარბშეუხრელად ებრძოდა.

იანქოშვილის პორტრეტები ეპიურად და ძალზე კოლორიტულად გამოიყურებიან, ღრმად იჭრებიან მნახველის ცნობიერებაში და სულიერად ამდიდრებენ მას. ყოველივე ამას მხატვარი აღწევს თამამი ფერწერული შესრულების მკაფიო, ფსიქოლოგიური დახასიათებისა და ორიგინალური, რთული კომპოზიციური გადაწყვეტის მეშვეობით.

მხატვარი ქალის ნაწარმოებებს არაფერი საერთო არა აქვს ფოტოგრაფიულად გაგებულ, ან ეტიუდის პრინციპზე აგებულ „პორტრეტებთან“. ყოველი მათგანი სურათის პრინციპზეა შექმნილი, მრავალფეროვანია, შინაარსიანია, მდიდარია და ამიტომ ტოვებს ასეთ დიდ შთაბეჭდილებას.

ზოგიერთი პორტრეტის მწვანე, თანაც ზურმუხტივით გამჭვირვალე ფონი ისე ჰარმონიულად ეხამება სახის სრულიად საწინააღმდეგო, მოყვითალო-მოვარდისფერო გამას, რომ სანამ თვალით არ იხილავთ, დაუჯერებლად მოგეჩვენებათ ასეთი შეხამების შესაძლებლობა.

დღემდე ყოველი ჩვენგანი ფიქრობდა, თითქოს ამ შესანიშნავი მხატვრის ნამდვილი სტიქია მხოლოდ პორტრეტია. უკანასკნელ წლებში მისი ყურადღება მიუპყრია მშოპლიური ბუნების სილამაზის თემას, სადაც განსაკუთრებული ადგილი ისტორიულ ძეგლებს უჭირავს. აქ ორგვარი ხასიათის ქმნილებებია. ერთნი, ძეგლთა ფრონტალური გამოსახვით, იკონოგრაფიულ წყაროებზე მიგვითითებენ, ნაკლებ უშუალონია, მაგრამ დეკორატივიზმის მაღალ პროფესიულ ასპექტებზე და დახვეწილ კულტურაზე მეტყველებენ. მეორენი კი უშუალო შთაბეჭდილებას ემყარებიან. ამდენად უფრო საინტერესოა და დაზგური ფერწერისაკენ არიან წარმართული. უკანასკნელთა შორის ისეთი შედევრებიცაა, როგორიცაა „მცხეთის ჯვარი“. თვითონ ძეგლს მეტად პატარა ადგილი დასთმობია, მაგრამ ყოველივე მის გარშემო მხოლოდ მის სადიდებლად წარმოთქმულ ხორალივით „მოისმის“.



ლია ჭავჭავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



კუბელი სტუდენტები

მექსიკელი ქალი



ნათელა იანქოშვილის ნაწარმოებებში ყველაფერი როგორღაც თავისებურად თავმოყრილი და შენივთებულია, გარკვევითაა წინ წამოწეული მთავარი და მნიშვნელოვანი, ამიტომაც მნახველი სურათს ერთბაშად და მთლიანად აღიქვამს.

ფერწერასთან ერთად დიდ ინტერესს იწვევს მხატვრის მრავალრიცხოვანი გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც ხასიათდებიან ისეთივე ეპიკურობით, ვირტუოზულად მოქნეულ „მუხიკალურ“ ხაზთა მშვენიერი კორიანტელით.

ნათელა იანქოშვილის მრავალფეროვანი, მკაფიოდ ინდივიდუალური შემოქმედება მდიდარ მასალას იძლევა ფართო მსჯელობისათვის, განზოგადოებისათვის.

ჩვენს წინაშეა მხატვარი, რომელსაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ქართული კულტურის საგანძურში.

ოთარ ფირალიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსუდანი მიუნხენზე ოცნებობს



რუსუდან სიხარულიძის გატაცება სპორტული ტანვარჯიშით ბათუმის მე-2 საშუალო სკოლაში დაიწყო. მან თავიდანვე მიიქცია სკოლის მასწავლებლის, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ანგელინა გაბრიაძის ყურადღება.

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც რუსუდანი და მისი მწვრთნელი გულდასმით შეუდგნენ მეცადინეობას ტანვარჯიშში.

რუსუდანმა ერთ წელიწადში აითვისა ტანვარჯიშის ანბანი. მისი დებიუტი 1965 წელს შედგა, როდესაც თბილისში გამართულ რესპუბლიკის პირად-გუნდურ პირველობაში ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა მოზრდილთა მეორე თანრიგში, ხოლო ერთი წლის შეუპოვარი და დაუღალავი ვარჯიშის შემდეგ პირველი თანრიგის პროგრამა მოამზადა და წარმატებით ჩააბარა „გამოცდა" საქართველოს მოსწავლეთა პირად გუნდურ ასპარეზობაზე. ამ წარმატების შემდეგ რუსუდანი სისტემატურად იმაღლებდა ოსტატობას. ბევრს, ძალიან ბევრს მუშაობდა თითოეული ილეთის დახვეწა-სრულყოფისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ნაირსიმაღლის ორძელს, ბჯენით ხტომებს, დვირს. არც აკრობატიკას ივიწყებდა, ბევრს მოძრაობდა, თამაშობდა ფრენბურთს, კალათბურთს...

სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო საბჭოს 1969 წლის ასპარეზობის მონაწილეებმა თავი მოიყარეს ვოროშილოვგრადის სპორტის სასახლეში. რუსუდანს ამ ასპარეზობაზე თან ახლდა მწვრთნელი ა. გაბრიაძე. შეჯიბრებაზე განსაკუთრებული წარმატება ხვდა ბათუმელ მოსწავლეს, მან მრავალჭიდის ჯამში 75,25 ქულა დააგროვა და სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

იმავე წლის ზაფხულში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეებს ერევანი მასპინძლობდა. 15 მოკავშირე რესპუბლიკის 200-მდე ნორჩი სპორტსმენი იბრძოდა ჩემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონის ოქროს მედლებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ნიჭიერმა ტანმოვარჯიშემ არც მოსწავლეთა ამ საკავშირო ფორუმზე შეირცხვინა თავი. მართალია, რუსუდანმა უძლიერესებთან შერკინებაში მრავალჭიდის ჯამში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მაგრამ თავისუფალ ვარჯიშში ოქროს მედალი დაისაკუთრა.

არ შემცდარან „დინამოს" საკავშირო საბჭოს ნაკრების მწვრთნელები, როცა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი რუსუდან სიხარულიძე „დინამოს" საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ჩარიცხეს. სწორედ ამ ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა სოციალისტური ქვეყნების დინამოელ ტანმოვარჯიშეთა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მოეწყო. ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 2 მედალი, — ასეთი იყო რუსუდანის სპორტული ნადავლი ამ დაძაბული ასპარეზობის შემდეგ. მსგავსი ხასიათის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება შარშან ჩეხოსლოვაკიაში გაიმართა. ოსტატ ქალთა შორის რუსუდანმა შესანიშნავად იასპარეზა. მან მრავალჭიდის ჯამში ყველა მონაწილეს აჯობა და სოციალისტური ქვეყნების სპორტსაზოგადოება „დინამოს" აბსოლუტური ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა. მისი გამარჯვების პატივსაცემად შესრულებული იქნა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. ქართველ გოგონას ოქროს დიდი მედალი და საპატიო სიგელი გადასცეს. რუსუდანმა ამ შეჯიბრებაზე ოქროს მედალი თავისუფალ ვარჯიშშიც დაისაკუთრა. ჩეხოსლოვაკიის გაზეთებში დაიბეჭდა მომღიმარი ქართველი ქალიშვილის პორტრეტი. პრესა დიდ შეფასებას აძლევდა საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმომადგენლის ოსტატობას, მის დახვეწილ გემოვნებას, ვარჯიშების შესრულების სირთულეს, ტექნიკას.

შარშანდელ სპორტულ სეზონთან არის დაკავშირებული სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატის, სპორტის ოსტატის, 14 წლის რ. სიხარულიძის მნიშვნელოვანი წარმატება. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ასპარეზობა, რომელიც მოსკოვში პიონერთა სახლში გაიმართა. ნორჩ ტანმოვარჯიშეთა ეს ფორუმი ცნობილი იყო „ოლიმპიური იმედის" სახელწოდებით. ვოროშილინას, კარასიოვას, კორბუტის, ლაზაკოვიჩის, შაბალინას მხარდამხარ ასპარეზობდა რ. სიხარულიძე. მან მრავალჭიდის ჯამში თავის მდიდარ ნადავლს ვერცხლის, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში ტრადიციულად ოქროს მედალი მიუმატა.

ნიჭიერი ქართველი ქალიშვილის მაღალმა ოსტატობამ კარგა ხანია მიიპყრო სპორტული ტანვარჯიშის გამოჩენილ სპეციალისტთა ყურადღება. 1967 წლიდან რუსუდანი სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატია. კითხვაზე, თუ ვის გამოჰყოფთ ჩვენი ქვეყნის ნაკრების კანდიდატებიდანო, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა არაერთგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლარისა ლატინინამ უპასუხა: „მაყურებლები ყოველთვის კარგად ხვდებიან 15 წლის ბათუმელ ტანმოვარჯიშეს რუსუდან სიხარულიძეს. იგი ძალიან პლასტიურია. მის თითოეულ მოძრაობაში იგრძნობა და შეიმჩნევა ქართული ქორეოგრაფიის მდიდარი ტრადიციები. რუსუდანი გაბედული სპორტსმენია".

ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილმა ტანმოვარჯიშემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნიკოლოზ თაყაიშვილმა საქართველოს ჩემპიონის შესახებ შემდეგი მიამბო: „თავისუფალი ვარჯიშის შესრულების სტილით, ოსტატობითა და დინამიზმით რუსუდან სიხარულიძე ძალიან ჰგავს მზია ნინოშვილს. ორივე ტანმოვარჯიშეს ვარჯიშში საკმარისზე მეტად აქვს შეტანილი ქართული ეროვნული ქორეოგრაფიის მდიდარი ტრადიციები. რუსუდანი ისეთივე მომხიბვლელი, ტემპერამენტიანია ხალიჩაზე, როგორც წარსულში მზია ნინოშვილი იყო. ახლა ეს ნიჭიერი და, ჩემი აზრით, მზარდი სპორტსმენი, ისეთ ასაკშია, როდესაც სწრაფად ითვისებს ტანვარჯიშის თითოეულ დეტალსაც კი. ამასთან, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების ლიდერი კარგად არის მომზადებული ფიზიკურად. მიუნჰენის ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. ამ ხნის განმავლობაში რუსუდანმა უფრო უნდა გაამდიდროს თავისი ვარჯიშები რთული ელემენტების შეტანით, რაც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მსაჯზე, სპეციალისტებზე. ვფიქრობ, მაშინ თამამად შეძლებს იგი სსრ კავშირის ნაკრებში მოხვედრას, რაც იმის ნიშანია, რომ ტანვარჯიშის სპეციალისტებს საშუალება ექნებათ ანდონ მას ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა ისეთ დიდ და პასუხსაგებ შეჯიბრებაზე, როგორიც მიუნჰენის 1972 წლის ოლიმპიური თამაშებია".

ახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში, რომელსაც ტრადიციულად წინ უძღვის ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობა. იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანას სპორტის სასახლეში წლეულს გაიმართა მსოფლიოს ცნობილ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება, რომელშიც უძლიერესთა შორის უძლიერესები იღებდნენ მონაწილეობას. ოსტატ ქალთა შორის ბრძოლა გამარჯვებისათვის ძირითადად ჩეხოსლოვაკიელ და საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს შორის მიმდინარეობდა. მრავალჭიდის ჯამში გამარჯვებული გამოვიდა ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენი კრაიჩეროვა. თავისი თანაგუნდელის ლაზაკოვიჩის შემდეგ რუსუდანმა მკერდი ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა. თავისუფალ ვარჯიშში მან მსაჯთა მაღალი შეფასება მიიღო და მსოფლიოს უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ამ თავყრილობაზე კვლავ ოქროს მედალი მოიპოვა.

როდესაც ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის რუსუდან სიხარულიძის სპორტულ დღიურს გადავხედეთ, ყდაზე ბავშვური ხელით ნაწერი სტრიქონები ამოვიკითხეთ: „მიუნჰენი — 1972 წელი". ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ჩემპიონი ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს, რათა საწადელს მიაღწიოს.

შ. ქირია



# ნამდვილი მკურნალი

საშუალოზე ოდნავ მაღალი, დინჯი ნაბიჯით როგორც ჭარმაგ ადამიანს ჩვევია, თავდახრილი მიუყვება ქუჩას.

ქუთაისის მკვიდრია, მას ბევრი იცნობს. „ბაბულია დეიდა" — ასე ეძახიან მას პატარები. მართლაც, რომ მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებს მათ გამოცდილი მკურნალი. ვინ იცის, რამდენი სიცოცხლე იხსნა მან განსაცდელისგან, რამდენჯერ დაახევინა უკან ნაადრევ სიკვდილს.

რთულია მისი პროფესია, ძალიან რთული. აბა, გამოიცანი, რა ტკივა, რა ატირებს ამ პაწაწას, რომელსაც ჯერ სიტყვის თქმაც არ შეუძლია. მხოლოდ ძალიან დაკვირვებულ თვალსა და ალღოს შეუძლია ჩაწვდეს პატარა ადამიანის სატკივარს. სწორედ ამ დაკვირვებამ, დიდმა მონდომებამ და საქმის უანგარო სიყვარულმა მოუხვეჭა ბაბულია ფილიპეს ასულ ჭელიძეს კარგი ექიმის სახელი.

პატარობიდანვე ოცნებობდა ბაბულია ექიმი გამხდარიყო. წყებად ჩამოსვამდა თავის თოჯინებს და რიგ-რიგობით ეკითხებოდა: „აბა, მითხარი, რა გტკივა!" „დააღე პირი!". „ისეთ წამალს მოგცემ, რომ მალე მორჩები".

1919 წელს, „წმინდა ნინოს" გიმნაზიის

წარმატებით დამთავრების შემდეგ ბაბულია ჭელიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ნიჭიერმა ქალიშვილმა თავიდანვე მიიქცია ცნობილი პროფესორების—სიმონ გოგიტიძისა და მარიამ უგრელიძის ყურადღება. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი ორდინატორად დატოვეს ბავშვთა სნეულებების კლინიკაში.

1930 წელს ბაბულია ჭელიძე სამუშაოდ მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. ამ დროიდან მოყოლებული, იგი დაუღალავად შრომობს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა უბანზე. არის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმი, გაერთიანებული ბავშვთა საავადმყოფოს ნაწლავთა ინფექციის კაბინეტის ხელმძღვანელი. ბაბულია ჭელიძე მარტო ქალაქს როდი ემსახურება. მას იწვევენ მახლობელ რაიონებში, სოფლებში, ყველგან, სადაც მდგომარეობა მძიმეა, სადაც პატარა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ელოდება.

აბა ჩვენს დროში, მედიცინის ახალ-ახალ აღმოჩენათა ეპოქაში, რა ექიმია ის, ვინც მხოლოდ თავის ალღოს, გამოცდილებასა და სტუდენტობაში შეძენილ ცოდნას ეყრდნობა! ბაბულია ჭელიძე სისტემატურად კითხულობს სამამულო და უცხოურ სამედიცინო ლიტერატურას. პრაქტიკაში ნერგავს მედიცინის უახლეს მიღწევებს, ამავე დროს აცნობს მას მოსახლეობას, ახალგაზრდა მშობლებს, კონსულტაციებს უწევს დედებს. იგი, როგორც საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი, ხშირად კითხულობს ლექციებს ქალაქის საწარმო-დაწესებულებებსა და სახალხო უნივერსიტეტებში.

1947 წელს „საქმედგამმა" გამოსცა ბაბულია ჭელიძის მიერ ნათარგმნი კუბესა და შტიფტარის მეტად საინტერესო წიგნი „როგორ ალვზარდოთ ბავშვი". ამის შემდეგ მან გამოსცა საკუთარი შრომები: „ახალშობილთა თავისებურებანი", „რა უნდა იცოდნენ ახალგაზრდა დედებმა", „კუჭნაწლავთა დაავადებანი და მათი პროფილაქტიკა" და სხვა. მის კალამს 40-მდე მეცნიერული შრომა ეკუთვნის. მათი უმრავლესობა დაბეჭდილია საკავშირო ჟურნალებში: „საბჭოთა მედიცინა", „ახალშობილთა აღზრდის საკითხები" და სხვ.

დაბადების 70 და მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა საყვარელ ექიმს. წლების სიმძიმემ ვერ გატეხა შესანიშნავი მკურნალი, რომელიც სამსახურებრივ და ოჯახურ საქმიანობას მშვენივრად უთავსებს საზოგადოებრივ მოღვაწეობას. არის ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ბაბულია ჭელიძის ღვაწლი. მას მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება, მკერდს უმშვენებს მთავრობის ჯილდოები — ორდენები, მედლები.

ხანგრძლივ სიცოცხლესა და წარმატებას ვუსურვებთ ამაგდარ მკურნალს, სათნო და სპეტაკ პიროვნებას — „ბაბულია დეიდას".

ნ. დევაძე,

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# გასტროლი



დარია რჩეულიშვილი



სონია გოგაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი, ძალიან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველ სცენისმოყვარეთა ოჯახის კარი შევაღე. მაგრამ, დღესაც ამ ხნის კაცს, თვალნათლივ მახსოვს ის ტკბილ-მწარე დღეები. ბევრი მოგონება შემორჩა გულს. თითქმის მთელი საქართველო მაქვს დავლილი, ჩემს თანამოძმეებთან ერთად. სიტყვას აღარ გავაგრძელებ, იმ გაჭირვებასა და სიძნელეებზე, რასაც საერთოდ ქართული თეატრი და, განსაკუთრებით, სცენისმოყვარეთა წრეები განიცდიდნენ, მაგრამ, აღვნიშნავ, რომ ამ მხრივ ყველაზე მეტად მსახიობი ქალი იყო შევიწროებული. აბა, წარმოიდგინეთ, რაოდენ უნდა ჰყვარებოდა ქალს ქართული თეატრი, რომ მთასა და ბარში, საურმე გზებსა და ბილიკებზე, ყოველგვარ ამინდში, ზოგჯერ ურმით, უფრო ხშირად კი — ფეხით, თან გაჰყოლოდა დასს. ეთამაშა სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე და ხშირად მშიერ-მწყურვალს დაეძინა ღია ცის ქვეშ. დიახ, ასეთი ქალები გვყავდა ჩვენ. თეატრი და ხელოვნება იყო მათი სალოცავი ხატი და, შეძლებისდაგვარად, ემსახურებოდნენ მათ. მინდა გავიხსენო ორი ასეთი ქალი: სონა გოგაშვილი და დარია რჩეულიშვილი. ქალები-მეთქი, ვამბობ, თორემ ისინი კარგი ვაჟკაცებივით გვიდგნენ მხარში და ზოგჯერ ომახიანად შეგვიძახებდნენ, გვამხნევებდნენ...

რა დამავიწყებს დარია რჩეულიშვილს — წმინდა ქართული ტიპის, ლამაზი აღნაგობის ქალს. გემოვნებით იცვამდა ქართულ ტანსაცმელს, იხურავდა ლამაზად დაბასმულ ლეჩაქს, კახური არშიით შემოვლებულს. ძალიან შვენოდა სარტყელგულისპირიანი კაბა, უყვარდა მაჯაზე შავი გიშრის კრიალოსნის დახვევა. მუდამ მხიარული იყო და მეგობართა შეხუმრებასაც იტანდა. მშვენიერი ხმა ჰქონდა, უყვარდა ბაიათების სიმღერა. წარმოშობით კახეთიდან იყო, სოფელ კონდოლიდან. ქართულ სცენაზე აღიზარდა, ქართული თეატრის დაწვის შემდეგ კი სცენისმოყვარეთა ბანაკს შემოეხიზნა. ამ ბანაკში იგი პირნათლად ასრულებდა და ანსახიერებდა ნატო გაბუნიას საგვირგვინო როლებს: ხანუმას, ლეკის ქალს გულჯავარს, ფროშარს და კიდევ მრავალს. მახსოვს 1916 წლის გაზაფხულზე ჩვენმა პატარა დასმა სამოგზაუროდ გასწია პერიფერიებში. შემოვიარეთ შუა ქართლი, გადავკვეთეთ მწვანედ მობიბინე ტირიფონის ველი და დაღლილ-დაქანცულნი ჩავედით ლამისყანაში. იქ, ცნობილმა სცენისმოყვარემ გიორგი ჯაბაურმა გაგვიწია მასპინძლობა. მაშინვე „გაჭრელა" აფიშები და სოფლის ყველა უბანში გააკრა. აფიშები დაუსრულებელ სიცილს ჰპირდებოდა მაყურებელს. მცირედ შევისვენეთ და დავიწყეთ ჩემი პიესის „ნათლულის" რეპეტიცია. წარმოდგენა იქაურ სამკითხველოს მოზრდილ დერეფანში დავდგით. პიესის შემდეგ წავიკითხეთ ლექსები, წარმოვადგინეთ სახუმარო სცენები, ვიმღერეთ. ლამისყანელები მეტად ნასიამოვნები დარჩნენ. წარმოდგენის შემდეგ ერთმა იქაურმა თავადმა მოკრძალებით გვთხოვა, ოჯახში მეწვიეთო. ჩვენც დიდი ხვეწნა არ დაგვჭირებია, ავიღეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და მასპინძელს გავყევით. მთელი ღამე ისმოდა სუფრაზე დარიას ხავერდოვანი ხმა. მისმა ბაიათებმა მეტად გააოცა მასპინძელი... დილაადრიან ავიბარგენით, გიორგი ჯაბაურიც თან გავიყოლეთ და დუშეთის გზით არაგვისპირს ავყევით. — ფშავის სოფლებისაკენ. პირველი წარმოდგენა სოფელ სასხორში გავმართეთ. ეს სოფელი იმიტომ დავიხსომე, რომ იქ კინალამ მოგვტაცეს ჩვენი დარია-ქალი. ერთ ქვრივ ნამღვდლევ აფციაურს ისე მოეწონა ჩვენი სცენის პრიმადონა, რომ გაიგო თუ არა, ეგეც ქვრივიაო, გადაგვეკიდა: თქვენი ჭირიმეთ, გამირიგეთო.

ამისთანა კურიოზები ხშირად შეგვხვედრია ამ ჩვენი განმანათლებელი მოღვაწეობის დროს. თუნდაც 1915 წლის სეზონი გავიხსენოთ: პატარა, 8-კაციანი დასი შევადგინეთ (მისი რეჟისორი და ადმინისტრატორიც მე გახლდით). ქალებიდან — დარია რჩეულიშვილი, სონა გოგაშვილი და ელენე ჯორჯიაშვილი (არსენ ჯორჯიაშვილის და) მყავდა მიწვეული. სისხამ დილით გავედით ნაძალადევიდან გლდანის მიმართულებით. რეპერტუარში პატარ-პატარა კომედიები გვქონდა; გლდანში ფარდაგების, ჭილოფების და ზეწრების შემწეობით მოვაწყეთ სცენა. იცოცხლეთ, სიცილით დავხოცეთ გლდანელები, წარმოდგენის შემდეგ სოფლელებმა ტაშ-ფანდურითა და დაიარა-„ბუზიკით" მოილხინეს. შემდეგ კაკლის ხის ქვეშ, მთვარის შუქზე გულუხვი მასპინძლობა გაგვიმართეს. დარია რჩეულიშვილმა ხელი ხელს შემოჰკრა და ისე შემოსძახა ბაიათი. სონა გოგაშვილმა „ახ, მთვარევ, მთვარევ" იმღერა და დაატკბო სუფრა. ელენე ჯორჯიაშვილმა მეფის ჯალათების მიერ ნაწამები ძმის შესახებ წაიკითხა ხალხური ლექსი. ამან მეტად დაგვასევდიანა და გული ბოღმით აგვივსო... ავიშალენით. გლდანელები ოჯახებში გაგვიძღვნენ მოსასვენებლად. მაგრამ, დახეთ უბედურებას: ერთი კარლია ეზოდან მეცხვარის აწყვეტილი ქოფაკი ძაღლი გამომეკიდა. ვიფიქრე, ძაღლი მანდილოსანს არაფერს ერჩისმეთქი, და ჩვენს ლეჩაქგაშლილ სონა გოგაშვილს ამოვეფარე, ძაღლი „შეუგნებელი" გამოდგა. ეძგერა სონას და ქართული კაბა სარტყელ-გულისპირიანად შემოახია. საწყალი ქალი, ერთ ოჯახში კი მივიყვანეთ მოსასვენებლად, მაგრამ ვაი იმ მოსვენებას. ჩვენ ძალაუნებურად ვხარხარებდით, ის კი, რომ იტყვიან „ქოქში გვილებდა".

დილა-ადრიან ერთმა დედაბერმა შეშინებულისა შეულოცა სონას, თავისი ხელპირის ნაბანი წყალი დაალევინა და ბროლივით კისერზე ნახშირის ნატეხი ჩამოჰკიდა. სონა მაინც არ ცხრებოდა და სარტყელ-გულისპირს მდუღარე ცრემლით მისტიროდა. ისევ გლდანელმა ქალებმა გამოაწყეს დიდი თხოვნით და ბოდიშებით, შეგვიბეს ურემი და სხვა სოფლისაკენ გავუდექით გზას.

ახლა, დღევანდელ თეატრში რომ შევალ, ჩვენი გაჭირვება მომაგონდება და თვალი ცრემლით მევსება.

გიორგი ბარელი (ყანჩელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის შესახვედრად

# მოგონება

ჩემი ნაბიჯები რევოლუციონერის ეკლიან გზაზე დაკავშირებულია ცნობილი მწერლისა და პროფესიონალი რევოლუციონერის სოლომონ თავაძის სახელთან.

სოლომონ თავაძეს მაშინ დავუახლოვდი, როცა ის ციმბირის გადასახლებიდან ფარულად ახალდაბრუნებული იყო. ანდამატურად მიმიზიდა რევოლუციონერთა საქმიანობამ და გატაცებით დავიწყე მათთვის ხელშეწყობა.

ციმბირიდან ფარულად დაბრუნებულ სოლომონს გურიაში აღარ ედგომებოდა. ამიტომ ვანო ნაფეტვარიძის პასპორტით ბაქოში ცხოვრობდა ლევანტი თავაძის ბინაში. მუშაობდა მექანიკურ ქარხანაში. დროდადრო ჩამოდიოდა გურიაში, სოფელ ჯუმათში, სადაც მე ვიზრდებოდი.

ჯუმათში არსებობდა წითელრაზმელთა ორგანიზაცია, რომელსაც ბოლშევიკები გ. მურვანიძე, ყ. ტულუში და კ. გურგენაძე ხელმძღვანელობდნენ. მე დამავალეს ორგანიზაციისათვის ფალასკების შეკერვა. მომცეს ტყავი და სხვა მასალა. დავალებას მონდომებით ვასრულებდი. მალე დამაპატიმრეს (ეს უკვე მეორედ), როგორც ორგანიზაციის ხელშემწყობი. საპატიმროდან გამათავისუფლეს იმ პირობით, რომ მსგავს საქმიანობაზე ხელს ავიღებდი. დავთანხმდი, მაგრამ ასეთ პირობაზე ჩემი თანხმობა, რა თქმა უნდა, ფიქტიური იყო.

1911 წელს სოლომონ თავაძეს რევოლუციური საქმიანობისათვის თორმეტი წლის პატიმრობა მიუსაჯეს და ბაქოდან ქუთაისის ციხეში გადმოგზავნეს. ორგანიზაციის დახმარებით, რის ვაი-ვაგლახით ვახერხებდი ციხეში შეპარვას, ვაწვდიდი წიგნებს, ვამარაგებდი საწერი ქაღალდით, მისივე თხოვნითა და დავალებით რედაქციებში მიმქონდა მისი ხელნაწერები — ლექსები, წერილები.

ამ ურთიერთობამ განაპირობა ჩვენი პირადი ცხოვრების სამუდამო შეკავშირებაც, 1912 წელს „ჯვარი დავიწერეთ" ქუთაისის ციხეში. ამის გამო ორგანიზაციის წევრებმა „ციხის დედოფალი" შემარქვეს. ქორწინების შემდეგ სოლომონს პატიმრობის ვადა გაუნახევრეს, ხოლო მე ორგანიზაციამ ციხის გვერდით, ბალანჩივაძის სახლში ერთი პატარა ოთახი დამიქირავა.

მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა: სოლომონ თავაძე ქუთაისის საპყრობილეში იჯდა. მისი ნახვის ნებართვა ავიღე და ციხეში ბაქოდან ქარხნის მუშების მიერ გამოგზავნილი წერილი შევუტანე. სოლომონმა წერილის პასუხი დაწერა და ბაქოში ლევანტი თავაძის მისამართზე გასაგზავნად გადმომცა. ეს ვიღაცას შეუმჩნევია, კარებში დამაკავეს. ციხის უფროსის ბრძანებით საპატიმროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა ქალმა გამჩხრიკა, კაბის სახელოდან წერილი ამომაცალა და ციხის უფროსს გადასცა. ეს უკანასკნელი კარცერში ჩასმით დამემუქრა. მაგრამ შემდეგ ეს მუქარა სოლომონზე გადაიტანა და ის რამდენიმე დღე კარცერში მოათავსეს, მე კი ექვსი თვით ამიკრძალეს ციხეში შესვლა.

ციხეს ბოსტანი ჰქონდა, სადაც პატიმრებს ამუშავებდნენ, რა თქმა უნდა, მეთვალყურეობის ქვეშ.

1918 წელს ქუთაისი ციხეში სხვებთან ერთად პატიმარი გაბო ონი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანი იმყოფებოდა. მას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მქონდა მისჯილი. ციხის ორგანიზაციამ დამავალა როგორმე ცეცხლმსროლი იარაღი მიმეწოდებინა მისთვის. მოხერხდა ონიანის ბოსტანში სამუშაოდ გამოყვანა. მე უბრალოდ ჩავიცვი და კალათით ხელში, ვითომ მწვანილისათვის, ბოსტანში შევედი. კალათაში გაზეთქვეშ რევოლვერი იდო. ონიანმა შეძლო ჩემთან მოსვლა, კალათაში მწვანილი ჩამიწყო, იქიდან კი რევოლვერი ამოიღო და პიჯაკის სახელოში ისე შეაცურა, არავის დაუნახავს. შინ რომ დავბრუნდი, სროლის ხმა მომესმა... ონიანი ციხიდან გაიქცა.

ეჭვის საფუძველზე მეორე ღამეს დამაპატიმრეს. ბინა გამიჩხრიკეს, მაგრამ ხელჩასაკიდი ვერაფერი აღმოაჩინეს; წერილებსა და სხვა მასალებს, რომლებიც საიმედოდ მქონდა გადამალული, ვერ მიაგნეს.

პატიმრობაში პირველად სამსონ მურვანიძემ (ცნობილი მწერლის იონა ვაკელის სიმამრი) მნახა. მან ჩემი პატიმრობის ამბავი ადვოკატს, რევოლუციონერ გრიგოლ გიორგაძეს აცნობა და პატიმრობიდან გამათავისუფლეს. მე კვლავ განვაგრძე ჩემი საქმე—რევოლუციონერ პატიმართა ხელშეწყობა.

ქუთაისის საპყრობილეში მყოფმა რევოლუციონერებმა გადაწყვიტეს გვირაბი გაეყვანათ და ციხიდან გაპარულიყვნენ.

მოვახერხე მიწის სათხრელი იარაღის მიწოდება. დაიწყო გვირაბის გათხრა, მაგრამ პატიმრებს ბედმა უმუხთლა: რამდენიმე მეტრზე გაყვანილი გვირაბი ზევიდან ფურგონმა ჩაანგრია და ყველაფერი გამომჟღავნდა. ამის შედეგად სოლომონ თავაძე, როგორც „გამოუსწორებელი“ ადამიანი, სხვებთან ერთად ქუთაისიდან თბილისის საგუბერნიო ციხეში გადაგზავნეს.

დადგა ქუთაისიდან თბილისში გამგზავრების დღე. ქუთაისის რკინიგზის სადგური ხალხით იყო გაჭედილი. პატიმრები უკვე აეყვანათ ვაგონში. მე ხალხში ვტრიალებდი, ვერ ვისვენებდი, არ ვიცოდი, თბილისში როგორ წარიმართებოდა საქმე... ფიქრებშიწასულს ანაზდად პურის მომსხო ნაგლესი მომხვდა პალტოზე და ჩემს ფეხთით დაეცა. მივხვდი, ეს რაღაც ნიშანი იყო. ფრთხილად დავიხარე და შეუმჩნევლად ავიღე იგი. შიგ სოლომონის წერილი აღმოჩნდა. მავალებდა, რომ თბილისში ჩამოსვლისას „თანამედროვე აზრის“ რედაქციაში მივსულიყავი, ასეც მოვიქეცი. რედაქციიდან დახმარება აღმომიჩინეს: ნაძალადევში იოსებ ბაბუნაშვილის სახლში ოთახი დამიქირავეს. თვითონ იოსები ჯარში იმყოფებოდა, შინ მოხუცი დედა, და-ძმანი და ახალშერთული ცოლი ჰყავდა.

იოსების დედამ მითხრა: „დედაშვილობას, არ დამიმალო, ახალთაობის რაიმე წრეში ხომ არ ღებულობ მონაწილეობას, შვილი ჯარში მყავს და ოჯახი არ დამიღუპოო“. მაშინ მოხუცი ქალის ეჭვების გასაფანტავად ორგანიზაციის წევრებმა — ალექსი ლაფანაშვილმა და გიორგი ბენდუქიძემ ორგანიზაციის ხარჯზე საკერავი მანქანა მიყიდეს და, როგორც მკერავს, თავისუფლად შემეძლო მიმეღო ვითომც ტანსაცმლის შესაკერად მოსული ყველა სტუმარი. ჩემთან შესაკერავის ნაცვლად ქაღალდში საგულდაგულოდ შეხვეული წერილები და მასალები მოჰქონდათ, რომელთაც ვანაწილებდი და დანიშნულებისამებრ ვგზავნიდი.

„თანამედროვე აზრის“ რედაქციაში „ობოლი მუშის“ (ს. თავაძის ფსევდონიმი 1924 წლამდე) სახელზე ბაქოდან, ბათუმიდან, ფოთიდან, ლანჩხუთიდან და სხვა ადგილებიდან იგზავნებოდა ფულადი დახმარება. „თანამედროვე აზრში“ კი ხშირად იბეჭდებოდა სოლომონის ლექსები, რომლებიც რედაქციაში მე მიმქონდა.

თბილისის საგუბერნიო ციხეში პატიმრის ნახვა ძალიან ძნელი იყო, მიუხედავად ამისა, ერთხელ მაინც მოვახერხე სოლომონთან ციხეში შესვლა. მან მითხრა, იქნებ გადამიყვანონ მეტეხის ციხეში, რომელსაც შიგნით თავისი ეკლესია აქვს, შენ იქ მონაზვნად წარსდგები და უფრო შეძლებ გარედან ცნობების მოწოდებას, ხოლო ციხიდან წერილებისა და დავალებების მიღებასო.

ასეც მოხდა. სოლომონი მეტეხის ციხეში გადაიყვანეს. ეს იყო, თუ არ ვცდები, 1916 წელი. ჩვენმა ორგანიზაციამ შესძლო მნათეს მოსყიდვა. იგი მიშვებდა მეტეხის ციხეში, ჩვენი მეფეების ყოფილი კარის ეკლესიაში მონაზვნის ტანსაცმლით შემოსილს და ამ გზით ვახერხებდი პატიმარ რევოლუციონერთა ხელშეწყობასა და დახმარებას.

ავრაფინა თავაძე

# რატომ ვართ დედა-შვილი ერთმანეთისათვის უცხონი?

დიდი ხანია ჩემს გულისტკივილს ვერავის ვუმხელ: ვიცი, ყველა გამამტყუნებს, საკუთარ დედაზე საყვედურს როგორ ამბობს, ისიც ქალიშვილიო.

შვილისათვის დედა ყველაზე საყვარელი და მახლობელი არსებაა. მაგრამ ყოველთვის ასე როდი ყოფილა! თურმე დედებშიცაა განსხვავება. ჩემი აზრით, შვილისთვის ის დედაა მახლობელი და მეგობარი, რომელიც შვილს გულის სითბოსა და სიხარულს უზიარებს.

დედაჩემი ერთი პატიოსანი მშრომელი ქალია. გამზარდა უმამოდ, სიღარიბეში, მაგრამ წესიერად. კაცმა რომ თქვას, რა მაქვს სასაყვედუროო?! მაგრამ შვილს დედისაგან სხვა რაიმეც ხომ სჭირდება: გრძნობა, სითბო, ის, რაც ასე ახლობელს და საყვარელს ხდის დედას შვილისათვის. აი, სწორედ ეს სითბო და გრძნობა აკლია დედაჩემს. ერთმანეთისათვის ჩვენ ყოველთვის უცხო ვიყავით და ახლაც უცხონი დავრჩით. მასთან ყოველთვის რატომღაც დაძაბულ, უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. სხვასთან უფრო შემიძლია გულახდილი ვიყო, გავუზიარო ჩემი დარდი და სიხარული. დედასთან კი ამას ვერ ვახერხებ. არ მინდა დედასთან ასე შორს ვიყო, მაგრამ არაფერი გამომდის. მიკვირს, როცა დედაზე თბილად ლაპარაკობენ, მიკვირს, რადგან მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მისგან არც ერთი საალერსო სიტყვა არ მსმენია, არ მიგრძვნია დედური სითბო, არ მახსოვს ჩემთვის „შვილოო“, დაეძახოს. „გოგო!“ — აი როგორ მომმართავს იგი ყოველთვის. ოჰ, რა ეკალივით მხვდება ეს სიტყვა გულზე.

მე დიდიხანია დედასთან აღარ ვცხოვრობ — გავთხოვდი. მყავს შესანიშნავი მეუღლე, ქალიშვილი, ერთი სიტყვით, ბედნიერი ოჯახი მაქვს. მაგრამ ჩემს ბედნიერებას ყოველთვის ჩრდილს აყენებს ის მოუშუშებელი ჭრილობა, რომელიც დედაჩემმა ჩემს სულს დაამჩნია.

დედამთილმა ნამდვილი დედობა გამიწია, თითქოს შემივსო დედაჩემის მიერ დატოვებული სიცარიელე, მაგრამ, რომ მომაგონდება, მაინც მტკივა გული.

ზოგჯერ, როცა დედასთან ვარ, მინდა თავს დავძლიო, მივუალერსო, მაგრამ არაფერი გამომდის.

შეიძლება, კიდევ არსებობენ ასეთი დედები. შეიძლება, სხვა შვილებსაც სტკივათ ჩემებრ გული. თუ ეს ასეა, მინდა ასეთმა დედებმა ეს წერილი წაიკითხონ, და თუ გვიან არ არის, სათანადო დასკვნა გააკეთონ. ნუ მოაკლებენ შვილებს სითბოსა და ალერსს.

კ. კ.

# დიდი ლენინის ინიციატივით

საბჭოთა მილიცია დიდი ოქტომბრის პირმშოა. იგი შეიქმნა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მესამე დღეს. 1917 წლის 28 ოქტომბერს (10 ნოემბერს) საბჭოთა მთავრობამ მიიღო დადგენილება მუშურ-გლეხური მილიციის შექმნის შესახებ. ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილი მილიცია იყო საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი პირველი შეიარაღებული რაზმი, რომელსაც უნდა დაეცვა რევოლუციური წესრიგი მშრომელთა ინტერესები დამნაშავე ელემენტების ხელყოფისაგან.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი ნაშრომში — „წერილები შორიდან". წერდა: „რანაირი მილიცია გვესაჭიროება ჩვენ, პროლეტარიატს, ყველა მშრომელთ? ნამდვილად **სახალხო,** ე. ი. ჯერ ერთი, იგი უნდა შედგებოდეს **გამოუკლებლივ** მთელი მოსახლეობისაგან, ორივე სქესის ყველა მოზრდილ მოქალაქეთაგან..."

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულების გამო, მუშურ-გლეხური მილიციის უფლება-მოვალეობანი სამხედრო დანიშნულების შეიარაღებული ნაწილების ფუნქციებს გაუთანაბრდა. ამიტომ, პირველ ხანებში, ქალების მონაწილეობა მილიციაში შეიზღუდა.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში მეტად მძიმე პირობები შეექმნა საბჭოთა მილიციას. 1919 წელს მილიციიდან წითელ არმიაში 7-ჯერ მოხდა მობილიზაცია, რითაც წინანდელი შემადგენლობა ერთი მეხუთედ-ით შემცირდა, ეს იმ დროს, როცა მილიციის მოვალეობა 2-ჯერ გაიზარდა. ნაკისრი უშუალო მოვალეობის გარდა, მილიცია იცავდა სახელმწიფო დაწესებულებებს, ფაბრიკა-ქარხნებს, წყალსადენის ქსელს, ფოსტა-ტელეგრაფს, საინჟინრო-ტექნიკურ დანადგარებს და ა. შ. მილიციას ხალხი არ ჰყოფნიდა, ყველაზე ცუდი პირობები რევოლუციის აკვანს — პეტროგრადს შეექმნა, ფრონტზე წასული მილიციის მუშაკების ადგილზე შევსება ვერ მოხერხდა, რის შედეგადაც საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა ფრონტისპირა ქალაქში. მაგრამ გამოსავალი მალე იქნა გამონახული: მილიციის დასახმარებლად მოვიდნენ მშრომელი ქალები. ვ. ი. ლენინის წინადადებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო გადაწყვეტილება პეტროგრადში ქალთა მილიციის შექმნის შესახებ.

ქალთა მილიციაში ჩასარიცხი კონტინგენტის შერჩევა ორგანიზებულად და აქტიურად მიმდინარეობდა.

1919 წლის ივნის-ივლისში პარტიის რაიკომების საგზურით პეტროგრადის ქალთა მილიციაში მიღებულ იქნა 700 ქალი, მათ შორის 522-მა დაამთავრა მუშურ-გლეხური უნივერსიტეტი.

პეტროგრადის ქალთა მილიციამ შესცვალა 1.500 მამაკაცი მილიციელი. ქალები დღედაღამ მუშაობდნენ მილიციის რაიონულ განყოფილებებში, მონაწილეობდნენ ოპერატიული ღონისძიებების გატარებაში თეთრგვარდიელებთან და კონტრრევოლუციონერებთან შეტაკებებში, სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ქალები ასრულებდნენ საპატრულო-საგუშაგო სამსახურს, მუშაობდნენ სისხლის სამართლის სამძებროში, ებრძოდნენ ბავშვთა შორის დამნაშავეობას, იცავდნენ სამრეწველო ობიექტებს, ასრულებდნენ სხვადასხვა სპეციალურ დავალებას.

საქართველოში საბჭოთა მილიციის ორგანოების შექმნის დღიდან მის რიგებში ჩაირიცხნენ მუშათა და გლეხთა რიგებიდან გამოსული ქალები. ისინი მამაკაცების მხარდამხარ მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებდნენ დანაშაულობათა და წესრიგის დარღვევათა აღკვეთისათვის. 1921 წლის ივნისში მოვიდა საქართველოს საბჭოთა მილიციაში უშაფათელი გლეხის ქალიშვილი, კომკავშირელი პარასკევა თომას ასული ბოკუჩავა. ფიზიკურად ჯანმრთელი, პოლიტიკურად მომზადებული, მოვალეობის კეთილსინდისიერად შემსრულებელი, — ასე ახასიათებდნენ პ. ბოკუჩავას მისი უფროსები. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის მაზრის მილიციაში. შემდეგ კი — თბილისის მილიციის მე-9, მე-10, მე-11 განყოფილებებში. ხელმძღვანელობის დავალებათა პირნათლად შესრულებისა და დანაშაულობასთან ბრძოლაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის უმცროსი ლეიტენანტი, კომუნისტი პარასკევა ბოკუჩავა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1945 წელს შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა, მიღებული აქვს მედლები და წახალისებანი. პ. ბოკუჩავა ამჟამად პენსიონერია.

სამამულო ომის დღეებში მილიციის ორგანოებში ბევრი ქალი მოვიდა, შეცვალეს ფრონტზე წასული მამაკაცები. 1943 წლის გაზაფხულზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით, ქ. თბილისში შეიქმნა ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობის მომწესრიგებელი ქალთა რაზმი, რომლის მთელი საქმიანობა მიმართული იყო სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისაკენ. ქალთა რაზმს სამართლიანად უწოდებდნენ თბილისის მილიციის გარნიზონის თვალს. მარტო ის ფაქტი, რომ 1943 წელს თბილისში არცერთი ავარია არ მომხდარა, ნათლად მეტყველებდა მილიციელი ქალების ენერგიულ საქმიანობაზე. მილიციელი ქალები გულმოდგინედ მეცადინეობდნენ, ეუფლებოდნენ სამილიციო საქმეს, გარდა სპეცმომზადებისა, სწავლობდნენ დანაშაულობათა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებსა და ხერხებს, გადიოდნენ სამწყობრო და საცეცხლე მომზადებას, სანიტარიასა და ჰიგიენას. ქალთა მილიციის რაზმმა თავის რიგებში აღზარდა მოწინავე ადამიანები, მეთაურები, რომლებმაც ოფიცრის წოდება მიიღეს და მთელი შემართებით ჩაებნენ დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში ქალთა მილიციის რაზმში მოვიდა 19 წლის ქალიშვილი ცაცა ასათიანი. შემდეგ იგი ათმეთაური და მილიციის უფროსი სერჟანტი გახდა. ფრონტზე წასულთა ადგილი დაიკავეს და სასახელოდ გაართვეს თავი ამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას კომკავშირის რიგებში აღზრდილმა ათმეთაურებმა: ეთერ ჩხარტიშვილმა, ანიკო ჯორბენაძემ, თამარ კრივაიამ, ანა შაპანოვამ, ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი დივიზიონის მეთაურის მოადგილემ პოლიტნაწილში ნინა რუდაკოვამ და სხვებმა.

თბილისის ქუჩებში მოძრაობის მომწესრიგებელ ქალთა სამილიციო რაზმის მაგალითისამებრ, საქართველოს სამილიციო განყოფილებებსა და სამწყობრო ნაწილებში 500-ზე მეტი ქალი მოვიდა სამუშაოდ. მათ შორის სამილიციო საქმის ცოდნით, დისციპლინითა და თავდადებული მუშაობით გამოირჩეოდნენ: გ. სამხარაძე, კ. ქუთათელაძე, ე. ინაშვილი, ა. ჩილინგარიანი, ე. კოსარევა, ა. ბოლოტინა, ნ. ხმიადაშვილი, ვ. ქებაძე, ტ. ვოლხოვა, ე. ტიტოვა, გ. რუდზენკო, ა. ნიჟარაძე და სხვები, რომელთა უმწიკვლო სამსახური მილიციის ორგანოებში აღინიშნა მთავრობის ორდენებითა და მედლებით.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ქალთა მილიციის რაზმი გაუქმდა. ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი დივიზიონი ფრონტიდან დაბრუნებულებმა შეავსეს და განაგრძეს თავიანთი კეთილშობილური მოვალეობის შესრულება.

პ. ხვიჩია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქუ-თა-ისი

„ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო...“



ბაგრატის ტაძარი

ქუთაისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანია.

შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ მას სამი ათას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მისი სახელი არაერთხელ მოიხსენიება ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის ცნობილი ბერძენი პოეტის — აპოლონ როდოსელის პოემა „არგონავტიკაში“.

როგორც ცნობილია, ამ პოემას საფუძვლად დაედო საბერძნეთში საყოველთაოდ გავრცელებული ოქროს საწმისის თქმულება. თქმულების მოკლე შინაარსი ასეთია: ბერძენი გმირები გემ „არგოთი“ ეწვევიან კოლხას მეფე აიეტს. მათ გადაწყვეტილი აქვთ თავის სამშობლოს დაუბრუნონ ბეოტიის ქალაქ ორხომენის მეფის — ათბასას შვილების — ჰელასა და ფრიქსეს მიერ ადრე წამოღებული გრძნეული ვერძის ტყავი (საწმისი). აიეტის რეზიდენციაში, ქუთაისში (ანუ ეაში) გადამხდარ სახიფათო თავგადასავლის შემდეგ არგონავტები მართლაც ისრულებენ თავიანთ საწადელს.

„არგოს“ გმირების შესახებ შექმნილი თქმულების სათავე ძალიან ადრე, დაახლოებით ძვ. წ. აღ. XIV საუკუნეშია საძიებელი. როგორც ჰომეროსის უკვდავი „ოდისეადან“ ჩანს, ტროას ომში (ძვ. წ. აღ. 1240 წ.) უკვე არგონავტთა შვილები მონაწილეობენ. ეს ფაქტი რ[illegible]უნდა, უფრო სარწმუნოს ხდის ქუთაისის ისტორიის ასე შორეული წარსულიდან დაწყების შესაძლებლობას.

ქალაქი ქუთაისი ეკონომიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან ადგილზე

მდებარეობდა. აქ თავს იყრიდნენ საზღვაო, სამდინარო და სახმელეთო გზები. ამის გარდა, ქუთაისი საქართველოს ყველა კუთხესთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ აიეტის სამფლობელოს ცენტრში, ქუთაისში მოხვედრილი არგონავტები ასე გაოცებული დარჩნენ მისი სიმდიდრითა და გრანდიოზულობით. ამ შემოსავლიან გზებზე გაბატონება, რა თქმა უნდა, ქალაქის ეკონომიურ აღმავლობას დიდად შეუწყობდა ხელს.

ქუთაისი, როგორც ქალაქი (თანამედროვე გაგებით), ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან მაინც უნდა არსებობდეს.



გეგუთი

ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადრეც (ძვ. წ. აღრიცხვის XV-VI ს.ს.) იგი დიდი დასახლებული პუნქტი არ იყო.

ქუთაისის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში არც ამის შემდეგ შემცირებულა. ჯერ კოლხეთის, ხოლო შემდეგ ლაზიკის სამეფოს არსებობის დროს მისი როლი განუზომლად დიდი იყო.

საქართველოში არაბთა შემოსევებისა და თბილისის მათ ხელში გადასვლის შემდეგ, ქუთაისი საქართველოს პროგრესული ძალების მთავარ შესაყარად იქცა. ლეონ მეორის დროს (753-798 წ.წ.) დასავლეთ საქართველოში აფხაზ-ქართველთა სამეფოს შექმნამ და მის რეზიდენციად ქუთაისის გადაქცევამ ამ ქალაქის მნიშვნელობა უფრო გაზარდა. მალე ქუთაისი ამ სამეფოს ერთ-ერთ უმთავრეს რელიგიურ ცენტრადაც იქცა.

საქართველოს გაერთიანების პერიოდი ქუთაისის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი ხანაა. სწორედ ამ დროს აშენდა მის ტერიტორიაზე ის შესანიშნავი ძეგლები, რომლითაც განთქმულია ქუთაისის მიდამოები. ამავე დროს დაარსდა აგრეთვე გელათის სახელგანთქმული აკადემიაც.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქუთაისს დასავლეთ საქართველოში ჩასახული სამეფოს დედაქალაქის როლი დაეკისრა. დავით ნარინი, რუსუდანის ძე, ქუთაისში დაჯდა მეფედ. ამის შემდეგ, მცირე გამონაკლისს გარდა, ქუთაისის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება დასავლეთ საქართველოს ისტორიას. იგი ჯერ მთელი ლიხთიქეთის რეზიდენციაა, ხოლო ამ სამეფოს დაშლის შემდეგ — იმერეთისა.

დღეს ქუთაისი, საქართველოს მეორე ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი, ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, რომლის სახელთან ჩვენი ქვეყნის ისტორიის მრავალი სახელოვანი ფურცელია დაკავშირებული.

ქუთაისსა და მის შემოგარენში დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვანი ძეგლები თვალნათლივ გვიხატავენ ამ კუთხის სოციალურ, ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ამ სიძველეთა შორის უმნიშვნელოვანესი ხუროთმოძღვრული ძეგლებია ბაგრატისა და გელათის ტაძრები და გეგუთის სასახლე — ქართული ფეოდალური კულტურის ფასდაუდებელი სიმდიდრე.

ბაგრატის დიდებული ტაძარი „უქიმერიონის გორიდან" (ასე უწოდებენ ამ მაღლობს ქუთათურები) გადმოსცქერის უძველეს ქალაქს. მცხეთის სვეტიცხოვლისა და ალავერდის საკრებულო კათედრალებთან ერთად, ბაგრატის ტაძარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თავისი ხუროთმოძღვრული და მხატვრული ღირსებებით.

ბაგრატის გრანდიოზული ტაძარი აგებულია გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის — ბაგრატ მესამის მიერ, X-XI ს. ს. მიჯნაზე — „ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223" (780 + 223 = 1003 წ.), ვკითხულობთ ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე ამოკვეთილ წარწერაში. ტაძარი ნაკურთხი ყოფილა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობაზე. XVII საუკუნის დასასრულამდე ძეგლი უვნებელი იდგა. 1692 წელს თურქებთან ომის დროს, აფეთქების შედეგად ჩამოინგრა გუმბათი და გადახურვები. ძეგლმა ჩვენამდე ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია.

ბაგრატის ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ტიპის ნაგებობაა. მართალია, ეს ტიპი საქართველოში უკვე ცნობილი იყო, მაგრამ ტაძრის მშენებელმა ახლებურად გაიაზრა იგი და მხატვრულად დასრულებული ნაწარმოები შექმნა.

გარედან სწორკუთხა მოხაზულობის ჯვრის მკლავები, შიგნიდან— აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეს ნახევარწრიული აფსიდებითაა დასრულებული. საკურთხევლის ორსავ მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნეა. თავისებურია ტაძრის ე. წ. პატრონიკე-გალერეა, რომელიც დასავლეთის. მკლავს შემოუყვება და ერთმანეთთან განიერი გასასვლელებითაა დაკავშირებული. აქ, მეორე სართულზე, წირვა-ლოცვისა და დღესასწაულების დროს იდგნენ მეფე-დედოფალი და დიდებულები. მშენებლობის დამთავრებამდე ძეგლს ჩრდილო-დასავლეთით დააშენეს სამსართულიანი საცხოვრებელი. კოშკი, სადაც, როგორც ფიქრობენ, ქუთაისის არქიეპისკოპოსს უნდა ეცხოვრა. ორი ათეული წლის შემდეგ, მე-XI საუკუნის პირველ ნახევარში, ტაძარს სამხრეთიდან და დასავლეთიდან მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭეები მიაშენეს. დანგრევამდე ტაძრის გუმბათი ოთხ მძლავრ ბოძს ემყარებოდა, რომელთა ბაზისები უხვადაა შემკული. ტაძრის კედელ-კამარები და იატაკი ერთიანად მოზაიკით იყო დაფარული. (იატაკზე დღესაც მოჩანს მოზაიკის ფრაგმენტები), კედლები მოხატული იყო (სამხრეთ კარიბჭეში შემორჩენილია ღვთისმშობლის ადრეული გამოსახულება). ტაძრის ინტერიერში მრავლად გვხვდება საუცხოო დეტალები და ფრაგმენტები, რომლითაც მორთული იყო შიდა კედლები და ფასადები.

ბაგრატის ტაძარს თავის დროზე სასწაულად თვლიდნენ და იგი დღესაც ანცვიფრებს მნახველებს უჩვეულო გრანდიოზულობითა და საზეიმო განწყობილებით. ძეგლის ფასადები უხვად ყოფილა მორთული. კედლების გასაფორმებლად გამოყენებული იყო დეკორატიული თაღედის სისტემა, რომელიც ფასადებს ერთმანეთთან აკავშირებდა. განსაკუთრებით იყო მოჩუქურთმებული კარიბჭეები, რომელთა ორნამენტაციაში ნათლად აისახა ქართული ხუროთმოძღვრული ჩუქურთმის განვითარების ბრწყინვალე მიღწევები. თუ ძირითადი ნაგებობის ორნამენტი გრაფიკულობით ხასიათდება და განვითარების ადრინდელ საფეხურზე მიგვანიშნებს, კარიბჭეთა შემკულობა გვიჩვენებს ორნამენტის კვეთის უმაღლეს ოსტატობას.

ბაგრატის ტაძარი, როგორც შესანიშნავი ისტორიული და მხატვრული ძეგლი, განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია. 1952 წლიდან დაიწყო ტაძრის აღდგენა-კონსერვაციის დიდი სამუშაოები. ამ მხრივ უკვე ბევრი რამ გაკეთდა. პარალელურად მიმდინარეობს ძეგლის მეცნიერული შესწავლა და გამოკვლევა. თანდათანობით შუქი ეფინება ტაძრის ცხოვრების ეტაპებს, რომელშიც მძლავრად ფეთქავს ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და შემოქმედების მაჯისცემა.

ჯ. სტეფნაძე,
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.
ნ. ანდღულაძე,
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## პედიატრიის ანბანი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ირაკლი ფაღავა.

# ბავშვის კვება

როცა ბავშვი სოულიად არ იღებს დედის რძეს ან რძე შეადგენს დღე-ღამის ულუფის 1/5-ზე ნაკლებს, ის ითვლება ხელოვნურ კვებაზე გადაყვანილად.

შერეული და ხელოვნური კვებისას, სასურველია, ყოველ ულუფაზე 10 გრ (დაახლოებით 1 ჩაის კოვზი) კარგად გალესილი ხაჭოს დამატება.

ცნობილია, რომ ვიტამინების რაოდენობა დედის რძეში საკმარისია ბავშვისათვის დაახლოებით პირველი თვის განმავლობაში. ამის შემდეგ მას აუცილებლად უნდა მიეცეს ვიტამინები და მათი შემცველი ხილისა და ბოსტნეულის წვენები (ვაშლის, მარწყვის, ალუბლის, მსხლის, ციტრუსების, სტაფილოს, ჭარხლის, კომბოსტოს, პამიდორისა და სხვა), თავდაპირველად — 2-3 ჩაის კოვზის რაოდენობით დღეში, 3-4 თვისათვის — 10 ჩაის კოვზამდე დღეში. წვენი, უმჯობესია, საკვებს დავაყოლებინოთ.

3-4 კვირიდან ბავშვს აუცილებლად უნდა მიეცეს ზეთზე მომზადებული ვიტამინი— დღეში 1 წვეთი, რომელსაც, სასურველია, დაემატოს რძეში გალესილი მოხარშული კვერცხის გულის ერთი მერვედი. ეს რაქიტის პროფილაქტიკის დიდებული საშუალებაა. 2 თვის ასაკიდან კვერცხის გულის რაოდენობა უნდა გაიზარდოს ყოველ თვეზე 2 გრამით. 6 თვისათვის ბავშვს დღეში ერთხელ მიეცემა ნახევარი კვერცხის გული. კვერცხის გული მაგრად მოხარშული უნდა იყოს.

როდემდე შეიძლება ბავშვი მარტო ძუძუთი ვკვებოთ?

მხოლოდ 5 თვის ასაკამდე. შემდეგ ქალის რძეში არსებული ნივთიერებანი და, განსაკუთრებით, რკინის მარილები ვერ აკმაყოფილებენ მზარდი ორგანიზმის მოთხოვნილებას და ბავშვს შეიძლება განუვითარდეს სისხლნაკლებობა ან სხვა დაავადება. ამას რომ თავი ავარიდოთ, 5 თვის ასაკიდან ბავშვს დღეში ერთხელ აუცილებლად უნდა მივცეთ დამატებითი საკვები (ძუძუს მიცემის ხარჯზე). დამატებით საკვებად შეიძლება გამოვიყენოთ: მაწონი, კეფირი, თავნაფქვი ბურღულის, სიმინდის ფქვილის, დანაყილი ბრინჯისა და წიწიბურას თხელი, 5-პროცენტიანი ფაფები. ერთი-ორი კვირის შემდეგ კი ფაფა უნდა მიეცეს 10-პროცენტიანი და დაემატოს საკვების მეორე სახეობა — ბოსტნეულის სუფ-პიურე, რომელსაც დაეთმობა ძუძუთი მეორე კვებაც.

შერეული და ხელოვნური კვებისას, დამატებითი საკვები ბავშვს მიეცემა 4 თვის ასაკიდან (ერთი თვით ადრე, ვიდრე ბუნებრივი კვების დროს), ამ შემთხვევაში, უკვე მაწვნის ნაცვლად. შეიძლება ფაფები დაემატოს ან, უფრო სწორად, შეერიოს მაწონს ყოველ კვებაზე (1 წილი მაწონი — 1 წილი ფაფა), ერთი-ორი კვირის შემდეგ კი მიეცემა ბოსტნეულის სუფ-პიურე. ამას დაეთმობა ერთი მთლიანი კვება. ხაჭოსი და კვერცხის გულის მიცემა შეიძლება განვაგრძოთ იმავე დოზებით, როგორც ზემოთ ვთქვით.

სწორად შერჩეულმა საკვებმა შეიძლება მაინც ვერ მიაღწიოს მიზანს, თუ არ იქნა დაცული ზოგიერთი პირობა. სახელდობრ, საკვების მონელებას ჭირდება გარკვეული შუალედები, რადგან საჭმლის მომნელებელი ორგანოებიც მოითხოვენ დასვენებას, რათა უკეთესად მოხდეს მიღებული საკვების მონელება, დადგენილია, რომ საკვების მიღებიდან მიღებამდე უნდა გავიდეს 3 $^{1}/_{2}$-4 საათი, რადგან დასვენებული კუჭი უფრო კარგად გამოყოფს მოსანელებელ წვენებს. გარდა ამისა, ზუსტად დაცული კვების რეჟიმით ბავშვს რეფლექსი გამოუმუშავდება და ჭამის სურვილი განსაზღვრულ დროზე აღეძვრება.

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სასმელი წყლის როლს ბავშვის ორგანიზმისათვის. მზარდი ორგანიზმი ბევრ სითხეს მოითხოვს — დღეში 1-2 ჩაის ჭიქას. მაგრამ სითხე ბავშვს ისე უნდა მივაწოდოთ, რომ არ გავაუარესოთ საკვების შეთვისება და მონელება. არ შეიძლება წყლის დალევა ჭამის წინ, რადგან წყალი და, ისიც ცივი, ამცირებს კუჭის წვენის გამოყოფას და იწვევს მის განზავებას, რაც უსათუოდ უარყოფითად მოქმედებს მონელებაზე.

დამატებითი საკვების მიცემისას უნდა იქნეს დაცული შემდეგი წესები: ახალ საკვებს ბავშვი თანდათანობით უნდა შევაჩვიოთ (ულუფის რაოდენობა თანდათან უნდა გავზარდოთ). პირველად უნდა მივცეთ მხოლოდ ერთი სახის ახალი საკვები.

დამატებითი საკვები უნდა მივცეთ შემთბარი, თხელი კონსისტენციის (5-პროცენტიანი). 2-3 კვირის შემდეგ საჭიროა მისი თანდათანობით გასქელება 10 პროცენტამდე.

დამატებითი საკვების მიცემის ხარჯზე ძუძუთი კვება თანდათან უნდა შემცირდეს და ბოლოს, 1 წლისათვის სულ გამოითიშოს (თუ ეს ზაფხულის პერიოდში არ მოხდა. ზაფხულში ბავშვის ძუძუს მოცილება არაა მიზანშეწონილი).

საკვების მიცემის დროს ბავშვი უნდა ავიყვანოთ ხელში და ვაჭამოთ ოდნავ თავწამოწეულ მდგომარეობაში.

დამატებითი საკვები ვაჭამოთ აუცილებლად კოვზით და არავითარ შემთხვევაში— მაწოვარათი.

ძუძუთი კვების სიხშირე შემდეგნაირად უნდა შემცირდეს: 5-6 თვისათვის, სანამ ბავშვი ერთ დამატებით საკვებს იღებს, ძუძუ 4-ჯერ უნდა მივცეთ. მეორე სახის დამატებითი საკვების მიცემის შემდეგ ძუძუ მიეცემა სამჯერ. 8-9 თვისათვის ძუძუ მიეცემა უკვე 2-ჯერ (დილა-საღამოს), ხოლო დამატებითი საკვები — სამჯერ. 10-11 თვისათვის ძუძუ მიეცემა ერთხელ — ღამით, დაძინების წინ. ხოლო 12 თვისათვის, თუ ზაფხულის თვეები არ არის, ბავშვი სულაც უნდა მოვაცილოთ ძუძუს.

დამატებით საკვებს 6 $^{1}/_{2}$-7 თვიდან შეიძლება მივუმატოთ ქათმის ან საქონლის ხორცის ნახარშზე მომზადებული სუფები. მეშვიდე თვიდან მივცეთ მოხარშული, კარგად გალესილი ქათმის ღვიძლი, შემდეგ — საქონლის ღვიძლი, ორცხობილა, კამპოტის წვენი, ხილის პიურეები. ეს უკანასკნელი შეიძლება მიეცეს 4 თვიდანაც.

7 თვის შესრულების შემდეგ ბავშვის საკვებს დაემატება მოხარშული, საკეპ მანქანაში ორჯერ გატარებული საქონლის ხორცი 2-3 ჩაის კოვზის რაოდენობით (კვირაში 3-ჯერ. 1 კვირის გავლის შემდეგ კი — ყოველდღე).

8-9 თვეზე დავამატებთ მოხარშულ ტვინს (2-3 ჩაის კოვზის რაოდენობით) და დამბალ ფრანგულ ფუნთუშას.

10 თვეზე — გატარებულ ხორცს სხვადასხვა სახით (ტეფტელი, კატლეტი), სქელ ფაფეულს, პიურეებს და სხვა, საკვებში დღეგამოშვებით შეიძლება შევანაცვლოთ ხორცის ფარში, ხაჭო და 1 ცალი მოხარშული კვერცხის გული.

11-12 თვისათვის საკვები კიდევ უფრო მრავალფეროვანი უნდა გავხადოთ. ბავშვი ამ დროისათვის უკვე უნდა იღებდეს: ახალ თევზს, ხორცის ფარშს (კატლეტი, ტეფტელი), ღვიძლს, ტვინს, სხვადასხვა სუფეულს (როგორც ხორცის, ისე ბოსტნეულისაგან, კარაქზე მომზადებულს), კვერცხის გულს, ხიზილალას (შეიძლება მიეცეს 6 თვის ასაკიდანაც), ბოსტნეულის პიურეს (ისპანახისა და მწვანე მუხუდოსი), ხაჭოს, ნადუღს, მაწონს, კეფირს, არაჟანს, კარაქს, ახალ ყველს, კომპოტს, ხილის პიურეებსა და წვენებს, თეთრ პურს, ფუნთუშეულს, ორცხობილას, ნამცხვარს.

შოკოლადის მიცემა 3 წლამდე დაუშვებელია.

**ელენე გძრი-მახარაძისა,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს ქალი“ № 7.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დედა, ვითამაშოთ რა!“

მე ქუდბედიანი გამოვდექ: მშობლები განა მხოლოდ მაჭმევდნენ და მინახავდნენ... რა საქმეც უნდა ჰქონოდა მამას, როგორი მოუცლელიც უნდა ყოფილიყო დედა, რომელიც სამსახურსა და სახლს შორის გარბოდ-გამორბოდა, ორივე მაინც პოულობდა დროს იმისათვის, რომ ჩემთან ეთამაშნათ.

პირველი თამაშობანი ბუნდოვნად-ღა მახსოვს. დამრჩა მხოლოდ ტკბილი, ტკბილი შეგრძნება დედის მოყვარული თვალებისა და მამის საიმედო და თბილი ხელებისა. რა იყო ეს თამაში? იქნებ, ოცდაათიან წლებში ესოდენ პოპულარული „პაპანინობანა“? მე სკამზე შესკუპული „მიეცურავ“, „ნაპირზე დარჩენილი“ დედა დამშვიდობების ნიშნად ხელს მიქნევს. სხვა სკამები — მძიმე წამახული ყინულები — ჩემსკენ მოიწევენ, აი, სადაცაა უნდა გამჭყლიტონ, დამამსხვრიონ ოთახის გაშლილ ოკეანეში, მაგრამ ხსნა ახლოსაა და მეც ყვირილით ვეხვევი დედას.

ალბათ, ზღაპრებისა და იგავ-არაკების ხმამაღალი, გამოთქმით კითხვაც მე თამაში მეგონა. აი, დედა კრილოვის ჭრიჭინობელას წარმომიდგენს: ხმა გაიწვრილა, კეკლუცობს და საძაგლად იმანჭება. ჭრიჭინობელა დედა! ერთ ნაცნობს წააგავს. აგერ, ლაპარაკში ჭიანჭველა ჩაერთო — ეს დინჯია, ჩვენი მეზობელივით. რა თავშესაქცევია ეს იგავი-სპექტაკლი! მე მას ადვილად ვიმახსოვრებ და როცა ზეპირად ვამბობ, დედას ვბაძავ.

ოდესღაც, ქალიშვილობაში, დედა დრამატულ წრეში დადიოდა. პატარა ქალაქ სოლნეჩნოგორსკის გაუმთბარ კლუბში ის შილერისა და ოსტროვსკის გმირებს თამაშობდა, მონაწილეობდა „ლურჯი ბლუზის“ წარმოდგენაში. დედა ბუღალტერია. თავისი მოკრძალებული არტისტული ნიჭი მე მომართვა.

ახლა, ოცდაათი წლის შემდეგ, როცა ჩემს გოგონას რაიმეს ვუკითხავ, ვამჩნევ, რომ ამას მექანიკურად ვაკეთებ — საკუთარ ფიქრებში გართული რაღაცას ვბუბუნებ და წაკითხულის შინაარსი არც კი მესმის. ჰოდა, აგერ შედეგიც: ჩემი გოგონაც ლექსს ზუსტად ასე, უგერგილოდ იმეორებს.

ცხადია, ოჯახური თამაშობანი მარტო „პაპანინელების გადარჩენითა“ და მხატვრული კითხვით არ ამოიწურებოდა. მე ვიზრდებოდი და ვცდილობდი საკუთარი თავი გამომევლინა თამაშობებში. როგორც ყველა ბავშვს, მეც თვალს მტაცებდა და გონებას მიკარგავდა მრავალი ცდუნება: ბოლომოხრულ ტარზე წამოცმული აბრეშუმივით რბილი და ნაზი ფუნჯი, აკვარელის დაბინდული წრეები, უეცრად რომ აივსებოდნენ წყლის ღრმა ბრწყინვალებით, წებოს წარმტაცი სუნი, პლასტილინის ნაზი დამყოლობა, მაკრატლის წვეტიანი ელვარება...

მამამ გამომიგონა სათამაშო, რომელმაც ყველა ეს ცდუნება შეითავსა. თვიდან თვემდე, ცხადია, არა ყოველდღიურად, არამედ, როცა მამას ეცალა, — გაზეთგადაფარებულ სასადილო მაგიდაზე ჩვენ პაწაწინა ოთახს ვაწყობდით კარ-ფანჯრებით, კედელზე — სურათით, ავეჯითა და პლასტილინის კაცუნებით. მთელი ეს ოთახი ფეხსაცმლის ყუთში ეტეოდა. ფანჯრის ფარდებს ვაკეთებდით ქაღალდის მაქმანისგან, რომელსაც ჯერ კიდევ ასდიოდა შოკოლადის სუნი, მინებს — ცელოფანისგან, სურათს — ჩაის ეტიკეტისგან (ამას შავ ჩარჩოში ვსვამდით), ავეჯს — ასანთის კოლოფისა და მუყაოსაგან. მე მანდობდნენ წებოსაც, მაკრატელსაც, პლასტილინსაც, საღებავსაც, ოღონდ მამის მეთვალყურეობით.

ბიჭი რომ ვყოფილიყავ, მამა ჩემთვის სხვა რამეს მოიგონებდა: ისე კარგად ხმარობდა ხელეჩოს, ისე კოხტად იცოდა ხეზე ამოწვა, მაგრამ მე, სამწუხაროდ, გოგო ვიყავი და მამაც, როგორც შეეძლო, მეწყობოდა.

ომმა შეწყვიტა ჩვენი მშენებლობა. მაგრამ, როგორ გამომადგა სკოლამდელ ბავშვს ეს სახალისო შრომის ჩვევები! ევაკუაციაში, უცხო ოთახში, უცხო გარემოცვაში იმ დაუსრულებელ საათებში, როცა დედა სამსახურში იყო ან რიგებში იდგა, მე დარდს ვიქარვებდი ჩემი გამოჩორკნილი სათამაშოებით, ხატვით, ძერწვით. ჩემთან სხვა ეზოებიდანაც მოდიოდნენ ბავშვები და მათ ვასწავლიდი ისე, როგორც წინათ მამა მასწავლიდა...

მერე ოთახის თამაშობანი ეზოში თამაშით შეიცვალა. ჯერ „ვისი სული გსურს“ იყო, მერე — თემურის რაზმელობა, მერე — პიონერბანაკის სამხედრო თამაშობები. მაგრამ ის, რაც ბავშვობაში ჩაგენერგა, თავს გახსენებს, აგერ, მეოთხე ათეული წელია და, ვინ იცის, იქნებ, ჩემი გატაცება ლიტერატურით, პოეზიით, რომელიც ჩემთვის პროფესიად იქცა, — რაღაცით არის დამოკიდებული ბავშვობაში წარმოდგენილ ჭრიჭინობელასა და ჭიანჭველას არაკზე. ასეა თუ ისე, ვიმეორებ: მე ბედმა გამიღიმა, რომ მშობლები ასე გულუხვად და ინტერესით მეთამაშებოდნენ.

თუ რა ადრე უჩნდება ბავშვს თამაშის სურვილი, ეს მე ჩემი გოგონას მაგალითზე შევნიშნე. ის ორი წლისაც არ იყო, როცა აღმოაჩინა, შემიძლია, თამაშის შეგნებული მონაწილე ვიყოო. მე ტახტზე ჩამოვსვამდი თოჯინებს, დათუნას, კურდღელს, სათამაშო „აიბოლიტის“ სამედიცინო იარაღებით აღვიჭურვებოდი და ჩემს შვილს ყოველ პაციენტზე ვეკითხებოდი:

— სახელი?

ისიც ნიადაგ ასე მპასუხობდა:

— კატკა!

— რა სტკივა?

— მუცუნა.

— რა ჭამა ავადმყოფმა?

— სოსისი.

— სიცხე?

— შვიდი.

თუმცა დაავადების სიმპტომები არ იცვლებოდა, მაგრამ მე სულ ნაირ-ნაირ დანიშნულებას ვუწერდი, რომლებსაც ჩემი შვილი სიხარულით ასრულებდა, ნემსი იყო, კომპრესი თუ, უკაცრავად პასუხია, ოყნა.

„დედა, ვითამაშოთ, რა!“ — ეს იყო ერთ-ერთი პირველი წინადადება, რომელიც ჩემმა შვილმა წარმოთქვა.

მალე მან ექიმობანას თამაში დამოუკიდებლად დაიწყო და არც ახლა იცილებს თავის სამედიცინო ჩანთას. სხვათაშორის, ასე ქრება მისი შიში ექიმებისადმი. მრისხანე თეთრხალათიანი მომხდურები გასაგებ და ახლობელ ადამიანებად იქცნენ.





ელექტრონული ბიბლიოთეკა

არ მიყვარს, როცა ბავშვის სათამაშოები უსიცოცხლოდ არის დახვავებული სადღაც ოთახის კუთხეში. მე არ ვამართლებ იმ მშობლებს, რომლებიც შვილებს ედავებიან, ამდენი სათამაშო გიყიდე და რატომ არ თამაშობ! სათამაშოს გაცოცხლება უნდა. ბავშვს თვალი უნდა აუხილო მასში დაფარულ შესაძლებლობებზე. და ეს მხოლოდ ჩვენ, უფროსებს ძალგვიძს. ოჰ, როგორ მეცოდებიან ის მშობლებიც, რომლებსაც არ შეუძლიათ საყვარელი პირმშოს გართობა. ან კი, ნეტავ რაღად უკვირთ, როცა სათამაშოებით ყელამდე სავსე მათი შვილები მოწყენილობისაგან და რაღაც განუზომელი სიცარიელის შეგრძნებისაგან „ყირაზე დგებიან?".

**თამარ ჟირმუნსკაია,**
**მწერალი.**

## ექიმის რჩევა

# სისხლნაკლებობა

სისხლი ორგანიზმის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მზარდ ორგანიზმში კი სისხლს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება: სწორედ მისი მეშვეობით ხდება ორგანიზმის ყველა ქსოვილისა თუ ორგანოს მომარაგება ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებით. სისხლი იცავს ჩვენს ორგანიზმს ინფექციებისაგან, გარემოს მავნე ზეგავლენისაგან. თუ ადამიანმა ჭრილობა მიიღო, მას უნარი შესწევს, შეადედოს სისხლი დაზიანებული მიდამოს სისხლძარღვებში და ამით დაიცვას ორგანიზმი სისხლის დაკარგვისაგან.

სისხლი შედგება ორი ძირითადი ფორმიანი ელემენტისაგან — ერითროციტებისაგან, ანუ, როგორც მას ჩვენ ვუწოდებთ, წითელი ბურთულებისაგან და ლეიკოციტებისაგან, ანუ ე. წ. თეთრი ბურთულებისაგან და აგრეთვე სისხლის ფირფიტებისაგან, რომელთაც ტრომბოციტებს ეძახიან. ყველა ეს ელემენტი კი შეწონილია ცილების, ფერმენტების, მარილების შემცველ სითხეში, რომელსაც პლაზმა ეწოდება.

სისხლის დაავადებები სხვადასხვა სახისაა. ერთი მათგანია სისხლის ნაკლებობა ანუ ანემია. ეს დაავადება მაშინ ვითარდება, როცა ბავშვის ან მოზრდილის ორგანიზმში ამათუიმ მიზეზის გამო არ არის საკმარისი რაოდენობით ერითროციტები ან ეს ერითროციტები სრულფასოვანი არ არიან და არ შესწევთ უნარი მომარაგონ ორგანიზმი ჟანგბადითა და სხვა საკვები ნივთიერებით.

დადგენილია, რომ ერითროციტები ძირითადად წარმოიქმნებიან ძვლის ტვინში. იმ შემთხვევაში, თუ ძვლის ტვინის დედა უჯრედები დაზიანდნენ, სისხლში ერითროციტების რაოდენობა მკვეთრად იკლებს და ბავშვს უვითარდება სისხლნაკლებობის ნიშნები. ძვლის ტვინში წითელი სიხლის დედა უჯრედების დაზიანება შესაძლოა განვითარდეს რადიაციის ზეგავლენით, მავნე ქიმიურ ნივთიერებათა ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად და ზოგიერთი მძიმედ მიმდინარე ინფექციური სნეულების შემდეგ.

ბავშვებში უფრო ხშირად სისხლნაკლებობას სისხლში ჰემოგლობინის ნაკლებობა იწვევს. ჰემოგლობინი რთული ნივთიერებაა. მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილია რკინა. მისი არსებობა ერითროციტში აუცილებელია, რადგან სწორედ რკინას შესწევს უნარი ადამიანის ფილტვებში მოახდინოს ქიმიური რეაქცია, დაიჟანგოს გარემოში არსებული ჟანგბადის მეშვეობით და, როგორც აუცილებელი საკვები ნივთიერება, დაიგზავნოს ორგანიზმის ყველა „კუნჭულში".

ბავშვის ორგანიზმში რკინის ნაკლებობა ძალზე ხშირია. უმეტესად ეს მეძუძური ქალის არასწორი კვებითაა გამოწვეული. საუბედუროდ, დღემდე მრავალ ოჯახში გამეფებულია ყალბი წარმოდგენა მეძუძური დედის კვების შესახებ. რატომღაც დედას უკრძალავენ ბოსტნეულის, მაგალითად, პამიდორის, კიტრისა და მრავალი სახეობის ხილის მიღებას, სამაგიეროდ ურჩევენ დიდი რაოდენობით დალიოს რძიანი ჩაი, ზოგჯერ ლუდიც. სწორედ ასეთი არასრულფასოვანი კვება ხდება იმის მიზეზი, რომ დედის რძეში საკმარისი რაოდენობით ვერ მოხვდება რკინა, სპილენძი და სხვა მიკროელემენტები, საჭირო ვიტამინები და ფერმენტები. აღნიშნულის გამო, ბავშვის ორგანიზმი ღარიბდება ჰემოგლობინით.

სისხლნაკლებობას თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს. პირველი ნიშანია ფერმკრთალობა. სისხლნაკლები ბავშვი ჭირვეულია, ჭამის მადა ცუდი აქვს, მოდუნებულია ან, პირიქით ძალზე აღგზნებული. ბევრს ტირის და მოუსვენრობს.

მეძუძური დედა ოჯახის საერთო საკვებით უნდა იკვებებოდეს, მაგრამ დამატებით კიდევ უნდა იღებდეს ხილს, განსაკუთრებით ვაშლს, რომელიც ყველაზე მეტი რაოდენობით შეიცავს სრულფასოვან რკინას. ბავშვის ორგანიზმმა რომ რკინის ან სრულფასოვანი საკვების ნაკლებობა არ იგრძნოს, დროზე უნდა მივაწოდოთ დამატებითი საკვები (დამატებითი საკვების შესახებ იხილეთ ჩვენს ჟურნალში ე. გერის წერილების ციკლი. — რედ.)

ზოგიერთი დედა ბავშვს სისტემატურად კვებავს შედედებულ რძეზე დამზადებული მანანის ფაფით. ასეთი კვება ბავშვს ასუქებს, მაგრამ ამგვარი სიმსუქნე მატყუარაა. სწორედ ამ ბავშვებს აღმოაჩნდებათ ხოლმე ჰემოგლობინის ნაკლებობა, რადგან მათი საკვები ერთფეროვანია. ანემიის ანუ სისხლნაკლებობის თავიდან აცილება შეიძლება, თუ თქვენს შვილს მრავალფეროვან და მისთვის სასარგებლო საკვებს მიაწვდით

თუ ბავშვს ზემოთ ჩამოთვლილი ავადმყოფური ნიშნები შეამჩნიეთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენი უბნის პედიატრს. ის ბავშვს სისხლს გამოუკვლევს. საერთოდ, ბავშვის სისხლში ჰემოგლობინი ნაკლებია, ვიდრე ასაკოვანი ადამიანის სისხლში. თუ ის 70 პროცენტამდეა. ესე იგი, ნორმის ფარგლებში ყოფილა. ერითროციტების რაოდენობა კი 4-5 მილიონს უნდა აღწევდეს.

თუ ბავშვთა პოლიკლინიკაში ჩატარებულმა მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო, საკონსულტაციოდ მოგვმართეთ სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ბავშვთა განყოფილებას. ჩვენს ინსტიტუტს ყველა საშუალება გააჩნია, რომ ყოველგვარი გამოკვლევები ჩაუტაროს ბავშვს, დაადგინოს დაავადების ძირითადი მიზეზი და განკურნოს იგი. ანემიის დროული მკურნალობა აუცილებელია, რადგან ორგანიზმის ხანგრძლივმა შიმშილმა შეიძლება მძიმე ცვლილებები გამოიწვიოს.

**ლეო ბახტაძე,**

**აკადემიკოს მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა განყოფილების გამგე.**

## სარჩული

სიკეთე ჰგავს მას, ვისგანაც ის მოდის.

* * *

თვალთა ვერხედვა, სულ სხვა არის, გონების — სულ სხვა, თუმცა ორივე სიბრმავეა!

* * *

მხოლოდ ჭეშმარიტი პატივისცემა არ შეურაცხყოფს თანაგრძნობას!

* * *

— მე შენზე ძლიერი ვარ, გულო! — თქვა გონებამ.

— სასაცილოა, მაშ რატომ კვდები ჩემზე ადრე!?

* * *

საბრალოა მცენარე, როს მზე მისთვის ვერ მზეობს და ნაყოფი ჩრდილში მწიფდება.

რეგვენს თუ გულს გაუხსნი, თავი მოარიდე, ჯოხი არ მოგხვდეს!

* * *

ჰაერით გაბერილი ტიკი ნებივრად გორაობდა, ნემსს კი ადგილი დაეკარგა და შეწუხებული ტიკის გვერდში მიყუჟულიყო.

— შენ ჩემს გვერდში რა გინდა, ე! სიგრძე მოგკლებია, გაწვრილებულხარ, რაშია ნეტავ შენი ფასი? მე შემომხედე! უთხრა გაბერილმა ტიკმა, წვრილ ნემსს.

ნემსმა ითაკილა ასეთი ლაპარაკი და ტიკს უჩხვლიტა, გაჩუმდით. ტიკი ჰაერიდან დაიცალა.

პატრონმა დაფუუულ ტიკს ფეხი წაჰკრა და გადააგდო, ნემსი კი აიღო, გაუსინჯა წვერი და თავის ადგილზე მოათავსა.

სიდონია გულისაშვილი

# რიკო და კიკო

ზღაპარი

იყო ორი წყალწყალა ჩიტი, ერთს რიკო ერქვა, მეორეს — კიკო. ადრე დაობლდნენ. ვერ მოასწრეს მშობლებმა მათი აღზრდა, არც რაიმე ხელობა იცოდნენ, რომ თავი ერჩინათ! დააღეს პირი შოშიებივით და აჭირდნენ: რაღა ვქნათ, რა გვეშველებაო.

ამ დროს მერცხალმა ჩამოიქროლა, ერთ ბუზს გამოკიდებოდა დასაჭერად, შეებრალა ობლები და თავისი ნანადირევი გაუნაწილა. როგორც კი დაინახავდნენ მერცხალს ობლები, მაშინვე პირს დააღებდნენ. ადგებოდა მერცხალი და ჯერ ერთს ჩაუდებდა პირში ლუკმას, მერე მეორეს. მიეჩვივნენ ობლები მუქთახორა ცხოვრებას. სულ დაღებული ჰქონდათ პირი, მაგრამ მერცხალი აღარ ჩანდა, ვერც ისეთი ჩერჩეტი მწერი აღმოჩნდა, თავისი ნებით რომ მოესურვებია სხვის მუცელში ჩაძრომა.

— ძამიკო კიკო, — უთხრა რიკომ, — ხომ გახსოვს, ჩვენი საყვარელი დედიკო იტყოდა — ადამიანები ჩვენნისთანა ჩიტებს „წყალწყალას" ეძახიანო, ჰოდა, ადამიანები ტყუილად არ შეგვარქმევდნენ ასეთ სახელს, ალბათ ჩვენი წინაპრები წყალში პოულობდნენ საზრდოს.

— მოდი, ჩვენც ვცადოთ, იქნება გამოგვივიდეს რამე, — დაიჭყიპინა კიკომ.

გაუდგნენ გზას, პატარა მდინარესთან მივიდნენ და თვალების ცეცება დაიწყეს. გამოუცდელი და უმწეონი იყვნენ. ცხოვრებისა არა გაეგებოდათ რა. უცებ ბაყაყმა ამოჰყო თავი და გადმოკარკლული თვალები რიკოსა და კიკოს მიაშტერა — ეს რა უცხო ჩიტები მოსულანო. სულელ და გამოუცდელ ძმებს ბაყაყის თვალები საკენკი ეგონათ და ნისკარტი ჩაკრეს. მაგრამ ბაყაყმა ჩაყვინთა და დარჩნენ ასე მოტყუებულნი. სწორედ ამ დროს ნაცნობმა მერცხალმა ჩამოიქროლა, დაინახეს ძმებმა და გახარებულებმა სამოწყალოდ გააღეს ნისკარტი.

— რას გაგიღიათ პირი და სხვას შეჰყურებთ? ის გირჩევნიათ, თქვენ თვითონ გაისარჯოთ, — დაიჭიკჭიკა მერცხალმა და სწრაფად გაუჩინარდა.

აქ არაფერი ჩანს და რა ვქნათო, — აწუწუწდნენ ძმები.

— ჩაყვინთეთ წყალში, მიქექ-მოქექეთ ფსკერი და საზრდოს იპოვითო, — დაისისინა ნიავმა.

— მოდი, ჯერ შენ ჩაყვინთე, იქნება მართლა იპოვნო რამეო, — უთხრა კიკომ რიკოს.

— ყვინთვა რომ არ ვიციო?

— ჩახტი წყალში და ისწავლი ყვინთვასო, — დაისისინა კვლავ ნიავმა.

ჩახტა რიკო წყალში, ჩაყვინთა ფსკერამდე, მიათვალიერ-მოათვალიერა იქაურობა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. გაცრუებული რიკო დაღონებული ამოვიდა.

— ვერაფერი იპოვნეო?—დაიჭყივლა კიკომ.

— კენჭების მეტს ვერაფერს ვხედავდიო.

— გეტყობათ, რომ მართლა გამოუცდელები და სულელები ხართ, — დაიჩხრიალა მდინარემ, — ჭია-ღუები ეშმაკები არიან, დაჯდებიან ფსკერზე და ისე მოგაჩვენებენ თავს, ვითომ კენჭები არიან.

— ეს კი არ ვიცოდიო, — თქვა რიკომ და ხელმეორედ ჩაყვინთა. გულმოდგინეთ გადაჩხრიკა ფსკერი, დაითრია ერთი ზორბა, მსუქანი ცხრაფეხა და ამოვიდა. ამოვიდა და პირდაღებული კიკოც იქვე დახვდა, თვალის დახამხამებაში გამოსტაცა ნადავლი და გადაყლაპა.

მუქთახორა კიკო ძალზე გაიწაფა ნანადირევის გამორთმევაში და მალე ჩვეულებად გადაექცა: როგორც კი რიკო წყალში ჩაყვინთავდა, კიკო პირს დააღებდა, მოუთმენლობისაგან ბოლოს ხან ზევით აიქნევდა, ხან ქვევით. გამოჩნდებოდა თუ არა რიკო, კიკო სწრაფად ეცემოდა, გამოსტაცებდა ნადავლს და ხარბად გადაყლაპავდა.

დიდხანს ითმინა რიკომ, დიდხანს ითმინა და ბოლოს კიკოს უთხრა: შენც გაისარჯე, ძმაო, ცალი ხელით ტაში ვის დაუკრავსო.

— ავად ვარ, ჩემო ძამია, ხომ ხედავ, როგორ ვკანკალებო, — დაიწუწუნა საბრალოდ კიკომ.

გავიდა ხანი. გასუქდა და გაიზარდა კიკო. რიკო კი თანდათან დასუსტდა. ბოლოს, მოთმინებადაკარგულმა, ერთი ეშმაკობა იხმარა: დაწვა გულაღმა და ფეხები გაფშიკა. კიკოს ეგონა, მოკვდაო, იტირა, ივიშვიშა, მერე შიმშილმა შეაწუხა და იკადრა წყალში ჩახტომა. ჩაყვინთა, გადაქექა ფსკერი, დაითრია მსუქანი ჭიაყელა და ამოვიდა. ამოვიდა და კმაყოფილმა რიკომ მიაძახა — ჰაი, შე ზარმაც კიკოო. მას შემდეგ ყველა ზარმაცსა და მუქთახორა კაცს ხალხი „ზარმაც კიკოს" ეძახის.

ოთარ სურგულაძე



გარეკანზე მხატვარ ნ ა თ ე ლ ა ი ა ნ ქ ო შ ვ ი ლ ი ს ნამუშევრები: პირველ გვერდზე — მარინე თბილელის პორტრეტი, მეოთხე გვერდზე — ლეჩაის კოშკი.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის— 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის—93-98-54. გადაეცა ასაწყობად 16/IV-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VII-70 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,

ტირაჟი 111.700. შეკვ. 1922 უე 02132. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.












ИНДЕКС 76178

